№143 (12 213)

20 ივნისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანდრო, შემცვალე!

## დია 2007: ოპერაში ქართული საფეხბურთო სეზონის დასკვნითი არია შესრულდა


შოთა არველაძე


სანდრო იაშვილი

**1** მეკარე: **ზურაბ ქვაჩახია (ამერი)**
ნომინანტები: გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი), სოსო გრიშიკაშვილი (დინამო)

**2** მცველი: **გიორგი ონიანი (ოლიმპი)**
ნომინანტები: გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), ნედ ზელიჩი (დინამო)

**3** ნახევარმცველი: **გიორგი დოლიძე (ამერი)**
ნომინანტები: თორნიკე აფციაური (ოლიმპი), დავით დიღმელაშვილი (დინამო)

**4** თავდამსხმელი: **სანდრო იაშვილი (დინამო)**
ნომინანტები: დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი), გოგი ფიფია (ზესტაფონი)

**5** აღმოჩენა: **ლევან ყენია (ლოკომოტივი)**
ნომინანტები: მიხეილ ალავიძე (ოლიმპი), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი)

**6** პროექტები: **ჩვენ ერთი გუნდი ვართ (სფფ)**
ნომინანტები: მოდი ფეხბურთზე (პროფლიგა), წამახალისებელი ლატარია (პროფლიგა)

**7** მსაჯი: **ლევან ფანიაშვილი**
ნომინანტები: გიორგი ვადაჭკორია, ლაშა სილაგავა

**8** მწვრთნელი: **გიორგი ჩიხრაძე (ამერი)**
ნომინანტები: რევაზ ძოძუაშვილი (ტორპედო/ოლიმპი), დუშან უჰრინი (დინამო)

**9** ჩ/ს ფეხბურთელი: **სანდრო იაშვილი (დინამო)**
ნომინანტები: გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), გოგი ფიფია (ზესტაფონი)

**10** საუკეთესო ფეხბურთელი: **შოთა არველაძე**
ნომინანტები: ლევან კობიაშვილი, კახა კალაძე

## კაპელო მიდის, შუსტერი მოდის

ესპანელმა ჟურნალისტებმა რეალის პრეზიდენტისა და გერმანელი მწვრთნელის საიდუმლო შეხვედრის დეტალები გამოამზეურეს 5



## ომი მილანსა და ინტერს შორის

### გალიანიმ მორატის ფეხბურთელი ცხვირწინ ააცალა



**ბარსელონა:** რევოლუცია არ იქნება. რონალდინიო, ეტოო და რიიკაარდი კამპ ნოუზე რჩებიან 6

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# დია 2007

## შოთა არველაძე, ტოპმიოლერის გასაგონად:

## ჩემი შემცვლელი იაშვილია

შოთა არველაძე სცენაზე იხმეს. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და "ალკმაარის" 34 წლის თავდამსხმელი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ეს შოთასთვის ერთგვარად გაცილებასავით იყო. სხვათა შორის, ერთი კვირის წინათ უკრაინულმა "სპორტ ექსპრესმა" სტატია გამოაქვეყნა სათაურით - "მადლობ, შოთა და გემშვიდობებით!"

წარმოგიდგენიათ, ქართველი ფეხბურთელი, უკრაინელებმა სანაკრებო სარბიელიდან სიყვარულით გააცილეს, და მადლობა უთხრეს.

იმიტომ, რომ შემოდგომაზე კიევში გატანილი გოლით მთელ უკრაინას გული გაუხეთქა? იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრებები მეტოქეები იყვნენ და მისი ყველაზე მეტად ეშინოდათ?

უბრალოდ იმიტომ, რომ მისი კარიერა, პიროვნება დააფასეს და რა მოხდა მერე სხვისიანი თუა?

ამ დროს, საქართველოში უხერხულად თვლიან ადამიანისთვის მადლობის საჯაროდ თქმას.

არადა, ეკუთვნის, რადგან რისი საშუალებაც დრომ და ქვეყანამ მისცა, გამოავლინა, შეიძლება, მეტიც.

არსენა მარაბდელისა არ იყოს, ან ადრე დაიბადა, ან ძალიან გვიან.

გუშინდელ საღამოზე არველაძის ნაკრებიდან გაცილებაზე სიტყვა არ თქმულა, მაგრამ ასე კი გამოვიდა. ლიზა ბაგრატიონმა რომ პირადად შოთას უმღერა, მის ხმაშიც სევდა იგრძნობოდა.

შოთამ კი საფეხბურთო ანდერძივით დატოვა - ჩემს თერთმეტნორმიან მაისურას სანდრო იაშვილი მოირგებსო.

ეს კლაუს ტოპმიოლერის ბაღში ნასროლი კენჭი იყო. ვნახოთ, შეისმენს კი ნაკრების თავკაცი გამოცდილი ფეხბურთელის რჩევას?

**მერაბ მამულაშვილი**

ნუგზარ სუარიძის ფოტოები



საუკეთესო მეკარე
ზურაბ ქვაჩახია



საუკეთესო მწვრთნელი
გიორგი ჩიხრაძე



საუკეთესო ნახევარმცველი
გიორგი დოლიძე



თავდამსხმელი და ჩემპიონატის
საუკეთესო მოთამაშე
სანდრო იაშვილი



საუკეთესო მოთამაშე
შოთა არველაძე



საუკეთესო მცველი
გიორგი ონიანი



საუკეთესო არბიტრი
ლევან ფანიაშვილი



სეზონის აღმოჩენა
ლევან ყენია



ანანო მჟავია

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა


გიორგი შაშიაშვილი

შესაძლო ტრანსფერი

# დარჩება შაშიაშვილი ავსტრიაში?

ეროვნულ ჩემპიონატის განვლილი სეზონის დასრულებასთან ერთად, თბილისის "დინამოში" **გიორგი შაშიაშვილის** საიჯარო კონტრაქტის ვადაც ამოიწურა. ფეხბურთელს ოდესის "ჩერნომორეცთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და ეროვნული ნაკრების მცველიც ოდესური კლუბის უფლებებში დარჩა. უკრაინაში სეზონი დასრულდა და ნაკრების მცველითაც არაერთი კლუბი დაინტერესდა. უკრაინულ "ზარიას" ბურდულთან ერთად შაშიაშვილის გადაბირებაც სურდა. ამას გარდა, საუბარი იყო სხვა უკრაინულ გუნდებზეც. გიორგის გერმანული "მაინცი" და "ვოლფსბურგიც" აკვირდება, ავსტრიული "ალტახი" კი მას კონტრაქტს სთავაზობდა... ბოლოს კი "შტურმის" ვარიანტიც გამოჩნდა. თუმცა გასარკვევი იყო, რა პოზიციას დაიკავებდა ფეხბურთელთან მიმართებაში ოდესური კლუბი. "ჩერნომორეცის" მთავარმა მწვრთნელმა **სემიონ ალტმანმა** შაშიაშვილის დამატება არ ისურვა და მანაც ავსტრიას მიაშურა.

გიორგი უკვე მესამე დღეა გრაცშია ტესტირებაზე და დღეს "შტურმის" შემადგენლობაში პირველ ტესტ-მატჩშიც ითამაშებს. "შტურმი", რომელმაც გასულ სეზონში ავსტრიულ ბუნდესლიგაში მე-7 ადგილი დაიკავა, დღეს "ჰარტბერგთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ტრანსფერი თავად გიორგიზეა დამოკიდებული, ანუ რამდენად კარგად წარმოაჩენს ის საკუთარ თავს.

**დავით ცაბაძე**

# როდის გაირკვევა ტორპედოს ბედი?!

უპატრონოდ მიტოვებულმა ქუთაისის „ტორპედომ" გასული ჩემპიონატი რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რიონისპირელები თამაშებზე „ნისიად" ჩასხმული ბენზინით დადიოდნენ და საჭმელს რიკოთის უღელტეხილთან მდებარე სასაუზმეებში მიირთმევდნენ. ეს ფაქტები „ტორპედოში" შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე ნათლად მიგვითითეს. ქუთათურებს ჩემპიონატის დასრულებამ სულზე მოუსწრო, თორემ ასეთ მდგომარეობაში მყოფი გუნდი რამდენ ხანს გაძლებდა, არავინ იცის. ფეხბურთელებს იანვრის შემდეგ თეთრი არ აუღიათ, ბევრ მათგანს გუნდიდან გაქცევა უნდოდა, მაგრამ შუა სეზონში წასასვლელი არსად იყო და იძულებული იყვნენ კვლავ „ტორპედოში" ებურთავათ.

„ტორპედოს" მომავალი, ჯერჯერობით, კვლავ ბურუსითაა მოცული. თუ ქვეყნის სამგზის ჩემპიონს სპონსორი არ გამოუჩნდა, ძნელად წარმოსადგენია, როგორ შეძლებს ის ჩემპიონატში გამოსვლას. ცოტა ხნის წინათ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ტორპედოთი" რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი **ბადრი კაკაბაძე** დაინტერესდა. ეს ინფორმაცია ქუთაისური გუნდის ხელმძღვანელობამაც დაგვიდასტურა. ისინი 16 ივნისს ბიზნესმენის ჩამოსვლას ელოდებოდნენ. კაკაბაძეს უნდა ენახა „ტორპედოს" სტადიონი, საწვრთნელი ბაზა და ადგილზევე გაცნობოდა მდგომარეობას. გუნდის ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ, რომ წინასწარ შეთანხმებას იმავე დღეს მიაღწევდნენ. თუმცა ჯერჯერობით, ბადრი კაკაბაძე ქუთაისში არ ჩამოსულა, მას იმერთა მთავარ ქალაქში დღე-დღეზე ელოდებიან. „ტორპედოს" მომავალი მნიშვნელოვანწილად, მის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

**ვლადიმერ კაკაურიძე** („ტორპედოს" გენერალური დირექტორი): *„ბადრი კაკაბაძესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რამდენიმე დღეში ის ქუთაისში ჩამოვა და ვითარებას ადგილზე შეისწავლის. იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დამთავრდება და ქუთაისის „ტორპედო" კვლავ ძლიერ გუნდად გარდაიქმნება."*

სანამ ქვეყნის სამგზის ჩემპიონის ბედი გაირკვევა, ფეხბურთელები შვებულებაში რჩებიან. ბევრი მათგანი უკვე ახალი გუნდის ძიებაშია, თუმცა ზოგიერთს იმედი არ დაუკარგავს და ისევ „ტორპედოში" სურს თამაში. ოღონდ, რამდენად დააკმაყოფილებენ ეს ფეხბურთელები „ტორპედოს" სავარაუდო მფლობელის მოთხოვნებს, ჯერ კიდევ საკითხავია. *„ასეთ ვითარებაში სეზონისთვის მზადებას ვერ დავიწყებთ. ჯერ სპონსორის საკითხი უნდა გადაწყდეს და გუნდი ამის შემდეგ შეიკრიბება. მთავარია, ინვესტორი მოვიდეს და გუნდის დაკომპლექტება არ გაგვიჭირდება. მიზნებსა და ამოცანებზეც ამის შემდეგ შეგვეძლება საუბარი*", - გვითხრა კაკაურიძემ.

დავამატებთ, რომ მეოთხე წელიწადია „ტორპედო" სპონსორის ძიებაშია, ამ ხნის განმავლობაში არაერთი სავარაუდო სპონსორის ვინაობა გაჟღერებულა, მაგრამ საბოლოოდ ყოველივე წყლის ნაყვა გამოვიდა. იმედია, ამჟამად მაინც გაუმართლებს ქუთაისურ გუნდს და ისეთი დამფინანსებლის ხელში გადავა, რომელიც წინამორბედისგან განსხვავებით, გუნდს შუა სეზონში არ მიატოვებს.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

ოლიმპი

# რუსთაველებმა ლიბერიელებზე უარი თქვეს

რუსთავის "ოლიმპი" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. გუნდის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია - ვის დაიმატებენ, ვინ დატოვებს კლუბს, შესაძლოა, ზედ ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის წინ გაირკვეს.

რუსთაველებთან ვარჯიშობს **მიხეილ მახვილაძე**, მაგრამ მისი საკითხი გაურკვეველია. სამაგიეროდ, უკვე ოთხ ფეხბურთელთან გააფორმეს კონტრაქტი ქვემოქართლელებმა. "ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** გვითხრა, რომ **ლევან სილაგაძე** მშობლიური ქალაქის გუნდში ერთი წელიწადი ითამაშებს, ისევე, როგორც "ბორჯომის" ნახევარმცველი **ალეკო კოშკაძე**, დინამოელებმა **სერგო ორბელაძემ** და **ჯაბა დვალმა** კი საქართველოს ჩემპიონთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს.

მართალია, ჯერ კიდევ ერთ დინამოელს, **დავით გიგაურს** ხელშეკრულება არ გაუფორმებია, მაგრამ ქარქაშაძე იმედიანადაა, წესითა და რიგით, ამ ტრანსფერსაც მალე უნდა მოევლოსო.

რაც შეხება უცხოელებს, აქ გარკვეული სიახლეებია. **ბადრი ქარქაშაძე** მაღალი კლასის უცხოტომელთა მოსაძებნად ლიბერიაში იყო წასული და სამი ფეხბურთელი შეარჩია კიდეც, მაგრამ რუსთაველებმა საბოლოოდ მათზე უარი თქვეს, რადგან ბოლომდე არ იყვნენ აფრიკელთა ოსტატობაში დარწმუნებულები.

სამაგიეროდ, **გია გურულია** დარწმუნებული, რომ მის მიერ შერჩეული აფრიკელები საქართველოს ჩემპიონს წაადგებიან. სამი მათგანი კამერუნელია, ერთი კი კონგოელი. აქედან ერთი მცველია, ორი თავდამსხმელი და ერთიც ფლანგის ნახევარმცველი.

ქარქაშაძემ დააზუსტა, რომ ეს კვარტეტი "ოლიმპს" 25 ივნისამდე უნდა შეუერთდეს, თორემ მერე მათზე დასაკვირვებლად დრო არ დარჩება - ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი 17-18 ივლისს ტარდება. ამ დროისთვის კი შემადგენლობის ბირთვი უკვე გარკვეული უნდა იყოს, რათა მთავარმა მწვრთნელმა, **ვარლამ კილასონიამ** გუნდის შეთამაშებაზე იზრუნოს.

შეგახსენებთ, რომ უეფას ტურნირების კენჭისყრა 29 ივნისს გაიმართება და შედეგების მიხედვით გადაწყვეტენ რუსთაველები, საქართველოში გააგრძელებენ მომზადებას თუ თურქეთში.

**მერაბ მამულაშვილი**


არჩილ ალავიძე

ამერი

# ალავიძეს სიონი ენანება

**არჩილ ალავიძემ** კარიერის სხვა კლუბში გაგრძელების რამდენიმე ვარიანტიდან საუკეთესოდ თბილისის "ამერი" მიიჩნია და გუნდთან კონტრაქტი გააფორმა. ბოლნისის "სიონის" ნახევარმცველის გადაწყვეტილება მარტივია: *"ყველა მოთამაშეს სიამოვნებს, როდესაც გუნდში გაუსინჯავად იწვევენ. მეც გამახარა რუსთავის "ოლიმპის" ინტერესმა. საქართველოს ჩემპიონში თამაშს ყველას არ სთავაზობენ. იყო უცხოეთის ვარიანტებიც, მაგრამ ბულგარეთსა და აზერბაიჯანში გასინჯვაზე უარი ვთქვი. ამ დროს დამიკავშირდა "ამერი", რომელიც სოლიდურობისა და ამბიციურობის გამო, ისედაც მესიმპათიურებოდა. ის არც ერთ ქართულ გუნდს არ ჰგავს, საქმე ხვალინდელზე გათვლით კეთდება და უარის თქმა არც მიფიქრია. გუნდში კარგად მიმიღეს და არ მინდა, რომ იმედები გავუცრუო. ამიტომაც ახალი სეზონი ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მინდა, კარიერაში საუკეთესო ჩემპიონატი ჩავატარო."*

სხვათა შორის, ბოლო დროს ბოლნისის "სიონი" თბილისის "ამერის" მომმარაგებლის როლში აღმოჩნდა. ბოლო ორ წელიწადში გლდანელებმა ერთბაშად ხუთი სიონელი დაიმატეს, ჯერ **დავით ბოლქვაძე, გიორგი დოლიძე** და **თენგიზ ჩიკვილაძე**, ახლა კი არჩილ ალავიძე და **მიხეილ კობაური**.

*"ეს ლოგიკურია - მიჩნევს ალავიძე - ყველა ფეხბურთელს მშვიდი, სტაბილური გარემო სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, "სიონში" არ იყო. შეიცვალა გამგებელი და არავინ იცის, არევაძის შემცვლელი "სიონს" შეინახავს თუ არა. ფაქტობრივად, გუნდი დაიშალა და მხოლოდ ადგილობრივები დარჩნენ - ოქროპირიძე, სვანიძე, უგრეხელიძე. რეალურად, ალბათ, ბოლნისელები მეორე გუნდით ითამაშებენ. "სიონში" გავხდი ჩემპიონი და ნამდვილად არაა სულ ერთი, ის რა დღეში იქნება."*

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com
# გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



ბაიერნთან კობიაშვილის გატანილმა გოლმა ფანები გუნდისკენ შემობრუნა

ლეგიონერები

## კობიაშვილი: დიდი შერიგების ავტორი

იმის მიუხედავად, რომ გასული სეზონის მეორე ნახევარი **ლევან კობიაშვილმა** არადამაჯერებლად ჩაატარა, იგი მაინც არის ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენის შემოქმედი.

ბუნდესლიგის პირველ წრეში იყო პერიოდი, როცა „შალკეს" ფანები საყვარელ კლუბს პროტესტს უცხადებდნენ. მაშინ „ხუმარები" ცუდად ირჯებოდნენ, გულშემატკივრები მთავარი მწვრთნელის, **მირკო სლომკას** გადაყენებას ითხოვდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ „ბაიერნთან" უპრინციპულესი მატჩისას გულშემატკივრებმა უპრეცენდენტო რამ მოიმოქმედეს – სტადიონი პირთამდე შეავსეს, მაგრამ პროტესტის ნიშნად, შეხვედრის პირველივე წუთებიდან მდუმარედ ისხდნენ.

მათ ხმა არც მაშინ ამოუღიათ, როცა „შალკემ" საძულველ მეტოქეს პირველი გოლი გაუტანა. რამდენიმე წუთში კი წყენა ყველამ დაივიწყა – კობის ბრწყინვალე დარტყმული **ოლივერ კანის** კარის ცხრიანში გაეხვა. „აუფშალკემ" ერთხმად იხუვლა.

მართალია, ამის შემდეგ „ბაიერნი" გააქტიურდა და მასპინძლები მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ, მაგრამ ლევანის გოლიდან მოყოლებული, „შალკე" ერთსულოვანი გახდა – ფანებმა ფეხბურთელებსაც, მწვრთნელებსაცა და კლუბის ხელმძღვანელობასაც ნდობა გამოუცხადეს და სეზონის ბოლომდე მათ ერთგულად ედგნენ მხარში.

„შალკეს" გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** 2006-07 წლების სეზონის ღირსშესანიშნავი მოვლენების ათეული შეადგინა და კობიაშვილის გოლი უმნიშვნელოვანეს ფაქტად დაასახელა.

*„ეს ფილმივით იყო, მაგრამ ასეთ სცენას ვერც ერთი რეჟისორი ვერ მოიფიქრებდა. კობის რაკეტისებური დარტყმის შემდეგ სიამოვნებისგან ყველას გაგვაჟრიალა, სტადიონი კინაღამ დაინგრა, ასეთი ემოცია ჩვენს გულშემატკივრებს, აქამდე, ალბათ, არასდროს გამოუხატავთ.*

*ისე გამოვიდა, რომ ფანებთან კობიმ შეგვარიგა. მისმა გოლმა სიამაყით ალგვავსო, შეიძლება პათეტიკურად ჟღერდეს, მაგრამ მივხვდით, რომ ამ მომენტისთვის ცხოვრება ღირდა"*, - ამბობს მიულერი.

როგორც ხედავთ, ჩვენს თანამემამულეს „შალკეში" ძველებურად აფასებენ. ისღა დაგვრჩენია, ლევანს კრიზისის დროულად დაძლევა და მომავალ სეზონში ჩვეულ დონეზე ასპარეზობა ვუსურვოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ კახი გოგიჩაიშვილთან

## მეტი წარმატება მინდა...

**თბილისის "დინამოსა და ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი კახი გოგიჩაიშვილი მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, ერთხანს ჩრდილში იყო. შარშან 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდში შეუდგა მუშაობას. ამ რამდენიმე თვის წინათ კი ბოლნისის "სიონში" გამოჩნდა. უფრო სწორად, გოგიჩაიშვილი "სიონი 2-ის" მწვრთნელად და ბოლნისელთა მთავარი გუნდის სამწვრთნელო შტაბში მოგვევლინა.**

**შეიძლება ითქვას, რომ გოგიჩაიშვილმა სამწვრთნელო ასპარეზზე პირველ წარმატებებს უკვე მიაღწია. 35-ე საფეხბურთო სკოლაში მისი გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა. კახისთან საუბარიც სწორედ ამ თემით დავიწყეთ...**


კახა გოგიჩაიშვილი

- 1991 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდს ვწვრთნი. ჯერ თბილისის პირველობა მოვიგეთ. მერე აღმოსავლეთის პირველობაზე ვიასპარეზეთ წარმატებით. ბოლოს კი საქართველოს ჩემპიონებიც გავხდით. ჩემპიონატის ფინალში, დასავლეთში ყველაზე ძლიერ "ბაიას" დავუპირისპირდით. "ბაია" ფაქტობრივად, დასავლეთ საქართველოს ნაკრებია, 4 მოთამაშე ჰერბერტ ცანკერმა 17-წლამდელთა ნაკრებშიც კი მიიწვია. ერთი სიტყვით, რთული მატჩი გვქონდა, რომელიც უგოლოდ დასრულდა. პენალტების სერიაში კი 6:5 მოვიგეთ.

**- 17-წლამდელთა ნაკრებში მოხვედრა ასაკით თქვენს მოთამაშეებსაც ეკუთვნით. გამორჩეულებად ვის დაასახელებდით?**

- გამორჩეული არაერთია და რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება. ერთს ვიტყოდი, ჩვენს გუნდშია ნიკა ვაწაძე, რომელიც ამ ასაკში ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეა.

**- ახლა "სიონზე" გადავიდეთ. ბოლნისელთა მეორე გუნდშიც გარკვეული წარმატებები გაქვთ...**

- შეიძლება ითქვას, რომ ასეა. რეგიონალლიგაში, გასულ სეზონში მე-3 ადგილზე გავედით და პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთ. ასე რომ, ახალ სეზონში უფრო მეტი გარჯა მოგვიწევს.

**- მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ მწვრთნელის როლში მოგვევლინე. ალბათ, თავდაპირველად გაგიჭირდა კიდეც. ახალ ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?**

- ძალიან გამიჭირდა-მეთქი ნამდვილად ვერ ვიტყოდი. სწავლა და ცოდნის გაღრმავება არასდროს მითაკილია. ასე რომ, ნელ-ნელა ვეუფლები ახალ პროფესიას. მართალია, მწვრთნელობა იოლი საქმე არაა, მაგრამ მინდა რომ ეს პროფესია კარგად ავითვისო და გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიო.

**- ორ ფრონტზე იბრძვი, არ გიჭირს?**

- მთავარია, საქმე არ დაიზარო და გაჭირვებით არ მიჭირს. მინდა, მეტ წარმატებებს მივაღწიო.

**დავით ცაბაძე**

კონფლიქტი

## რატომ უბიძგა მუჯირმა მწვრთნელს?


დავით მუჯირი

რუსულ ვებგვერდებზე საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის **დავით მუჯირის** გვარ-სახელმა კიდევ ერთხელ გაიელვა, ამჯერად სკანდალურად. რუსულ წყაროებს თუ დავუჯერებთ, "რუბინთან" გასვლით მატჩში შეცვლილმა მუჯირმა გუნდის მთავარ მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა და მხარით უბიძგა...

*"რუბინთან" გასვლით შეხვედრაში "კრილია" 0:1 დამარცხდა. ერთადერთი გოლი 42-ე წუთზე კუთხურიდან მოწოდების შემდეგ, რიაზანცევმა გაიტანა. საინტერესოდ მიმდინარე თამაშის ბოლოს კი მცირე სკანდალი მოხდა. 78-ე წუთზე სამარელთა გუნდის თავკაცმა სერგეი ობორინმა "კრილიას" კაპიტან დავით მუჯირის ნაცვლად ლეილტონი შეუშვა მოედანზე. მოედნიდან გამოსულმა მუჯირმა ობორინს, რომელსაც ფეხბურთელისთვის ხელის ჩამორთმევა სურდა, დემონსტრაციულად თვალი აარიდა, ახლოს ჩაუარა და მხარით მცირედით უბიძგა კიდეც. აშკარად გამოჩნდა, რომ ქართველი კაპიტანი მწვრთნელის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა. შესაძლოა მუჯირის შეცვლა მართლაც არ იყო გონივრული ნაბიჯი, მაგრამ ტელეკამერების წინ მსგავსი საქციელი, რბილად რომ ვთქვათ, ლამაზი არაა. ეს გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ მუჯირსა და ობორინს შორის თბილი ურთიერთობა არაა"*, - წერს რუსული პრესა.

**დავით ცაბაძე**

## ახალი ქართველი რუსეთში

რუსეთში კიდევ ერთი ქართული გვარ-სახელის ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი გამოჩნდა - **ვლადიმერ შეროზია**, თუმცა უმეტესობისგან განსხვავებით, ის საქართველოს მოქალაქეა. ყოველ შემთხვევაში, ამას იუწყება მოსკოვის "ლოკომოტივის" ოფიციალური საიტი. გუნდისა, სადაც ვლადიმერი თამაშობს. **მალხაზ ასათიანის** თანაგუნდელი ჯერ მხოლოდ დუბლების ფეხბურთელია. ის ამპლუით მცველია (181 სმ.) და 19 წლისაა. პირველად მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლების მაისური ქართველმა ფეხბურთელმა 18 მაისს მოირგო, როცა მოსკოვის "სპარტაკის" დუბლებთან მატჩში (1:2) ბოლო შვიდი წუთი ითამაშა. მე-12 ტურში ვლადიმერი "ზენიტთან" მატჩის (3:2) ბოლო წუთზეც გამოვიდა. ხეირიანად თამაშში კი პირველად 15 ივნისს ჩაება, როდესაც "ლუჩთან" შეხვედრაში (0:0) ბოლო 20 წუთი ითამაშა. გუშინ მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლი "ამკარს" მასპინძლობდა და შეროზიამ მთელი მეორე ტაიმი ითამაშა. სხვათა შორის, "ლოკომოტივის" დუბლების კარს იტალიელი გოლკიპერი **ივან პელიცოლი** იცავდა.

## ზარიამ გიგიაძე ვერ იყიდა

უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული თავდამსხმელის, **ვასილ გიგიაძის** შეძენა ლუგანსკის "ზარიამ" ვერ შეძლო. ეს ალჩევსკის "სტალთან" მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ლუგანსკელთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ კოსევიჩმა** აღიარა, იუწყება უკრაინული "სპორტ-ექსპრესი": *"ალბათ, კრივოი როგის "კრივბასის" კაპიტან ვასილ გიგიაძის დამატებას ვერ მოვახერხებთ. თავდაპირველად, კრივბასელებმა წამოაყენეს პირობები, რომელსაც ჩვენ დავთანხმდით, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად პირობები შეიცვალა და კრივბასელებმა ორჯერ მეტი თანხა მოითხოვეს, რომლის გადახდაც "ზარიას" არ შეუძლია."*

"სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, ახლა ქართველ ლეგიონერს სიმფეროპოლის "ტავრიაში" დაბრუნებას სთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ გიგიაძემ უკრაინული კარიერა სწორედ სიმფეროპოლში დაიწყო.

დაბოლოს: ვასიკო უკრაინელ ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ხარკოველ **გლადკიის** ჩამორჩა, მეორე ადგილი დაიკავა და სეზონი 11 გოლით დაასრულა.

**მერაბ მამულაშვილი**

### თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია

აცხადებს

1990-2000 -წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა კონკურსს.

1990, 91, 92 და 93-წლიანებში გამორჩეულები ჭაბუკთა ლიგის გუნდში ჩაირიცხებიან.

შერჩევა 25 ივნისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება.

*ტელეფონები: 52-60-01, 8-99-47-67-27*

*მისამართი: ლუბლიანას ქუჩა 19*

### დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს **16-17-18** წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

**საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.**

**ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.**

**იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კაპელო მიდის, შუსტერი ივლისიდან

## კალდერონს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს, მაგრამ ჯერ დუმს. ხელებს მიატოვიჩს შეაწმენდენ

სამი თვის წინათ, კონკრეტულად კი 22 მარტს, ესპანური გამოცემა "დიარიო ასი" წერდა, რომ "რეალის" პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** შეუთანხმდა **ბერნდ შუსტერს**, რომ სეზონის ბოლოს **ფაბიო კაპელოს** ნაცვლად დანიშნავდა. მას შემდეგ სამეფო კლუბში ბევრი რამ შეიცვალა. მადრიდული გრანდი საუცხოოდ ათამაშდა და 17 ივნისს ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ უდიდესი წარმატების მიუხედავად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იტალიელ სპეციალისტს მართლაც შინ გაუშვებენ. "რეალთან" დაახლოებული პირების თქმით კალდერონი "მალიორკასთან" გადამწყვეტ მატჩში გუნდის თამაშის ხარისხით უკიდურესად უკმაყოფილო დარჩა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მთავარი მწვრთნელი უნდა შეიცვალოს.

ყველაზე აქტუალურ საკითხზე, ისევ და ისევ, "დიარიო ასი" მსჯელობს. მადრიდული გაზეთის მტკიცებით, კალდერონმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო. კაპელო წავა, შუსტერი უახლოეს დღეებში დაინიშნება. მუშაობას კი გერმანელი სპეციალისტი 1 ივლისიდან შეუდგება. ამ ყველაფერს სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ესპანეთის თასის ფინალის შემდეგ გაახმაურებს. შუტერის "ხეტაფე" "სევილიასთან" პრესტიჟული ჯილდოს დასაუფლებლად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამართავს. ბუნებრივია, ასეთი პრინციპული დაპირისპირების წინ სხვა გუნდის მწვრთნელის "ბერნაბეუზე" გადაბარგების შესახებ ოფიციალური პირების საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, არაეთიკურია. ჟურნალისტებს კი არანაირი შეზღუდვა არ აქვთ. ჩვენმა პირენეელმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ 22 მარტს კალდერონი შუსტერს ხერესის ერთ-ერთ რესტორანში კონფედენციალურად შეხვდა. "რეალის" პრეზიდენტს ნოტარიუსიც ახლდა. მხარეებმა წინასწარ კონტრაქტს მოაწერეს ხელი. დოკუმენტში ერთი საგულისხმო პუნქტია. თუ რომელიმე მხარე შეთანხმებას დაარღვევს, დაზარალებულისთვის მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. ამ პუნქტიდან გამომდინარე ვრწმუნდებით, რომ საქმე მართლაც სერიოზულადაა. შუსტერი გიჟი უნდა იყოს, "ბერნაბეუზე" მუშაობა რომ იუაროს და კალდერონს მილიონი ევრო ჩაუჯიბოს. ამ თანხის წყალში გადაყრა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტსაც არ სურს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი. კაპელოს ვადამდე გათავისუფლება "რეალს" სოლიდური თანხა დაუჯდება. იტალიელ სპეციალისტს კონტრაქტით კიდევ ორი წელიწადი დარჩა სამუშაო. მისი მოხსნის შემთხვევაში ესპანელები იძულებულები გახდებიან, კაპელოს 24 თვის ხელფასი გადაუხადონ. ეს კი მილიონზე გაცილებით მეტია. გამოდის, შუსტერის მოტყუება სენიორ ხუან რამონს ბევრად იაფი დაუჯდება, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მთელი სერიოზულობით საუბრობენ, რომ "ხეტაფეს" დამრიგებლის დანიშვნა დღეების საქმეა. სხვათა შორის, შუსტერმა ეს ეჭვი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ჟურნალისთვის მიცემული ინტერვიუთი კიდევ უფრო გააძლიერა. ჰერ ბერნდმა დაუფარავად განაცხადა, "რეალში" მუშაობის დაწყებისთვის ვემზადებიო. ისიც დასძინა, რომ მადრიდელები მას დიდი ხანია ელიან.

სამეფო კლუბის პრესსამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა "დიარიო ასის" კორესპონდენტს საინტერესო ამბავი გაუმხილა, თუმცა იქვე სთხოვა, მისი გვარი სააშკარაოზე არ გამოეტანა. თურმე, კალდერონი "მალიორკასთან" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კაპელოს მიერ გაკეთებული განცხადებით აღშფოთებული დარჩა. შეგახსენებთ, იტალიელმა სპეციალისტმა ჟურნალისტებთან საუბრისას გულისტკივილით აღნიშნა, კალდერონის დახმარება და თანადგომა, ფაქტობრივად, არასოდეს მიგრძვნიაო.

სხვათა შორის, ბატონი ფაბიოს ტონი სერიოზულ ეჭვს აჩენს, რომ ხელმძღვანელობას მიზანმიმართულად აიძულებს, თანამდებობიდან დაითხოვონ. ის თავანეული წავა და ამასთან, მომდევნო ორი წლის განმავლობაში 5 მილიონი ევროთი გამდიდრდება. ბოროტი ენების თქმით, კაპელო დაბერდა და ნერვიულობა ჯანმრთელობას უნგრევს. "ბერნაბეუზე" კიდევ ორი წლით მუშაობა მას, რა თქმა უნდა, უამრავ სანერვიულოს მოუტანს. ცხადია, დიდი გამარჯვება უდიდეს კმაყოფილებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ თუ კაპელო მართლა დაბერდა, აშკარად ურჩევნია, მოკლე შარვალი ჩაიცვას, მეუღლეს ხელი მოკიდოს და რომელიმე ტროპიკულ კუნძულზე განცხრომით იცხოვროს. ძველ დანაზოგებზე რომ არაფერი ვთქვათ, იტალიელის უდარდელ ცხოვრებას ის 5 მილიონი ევროც თავისუფლად უზრუნველჰყოფს, რომელსაც "რეალის" ხაზინიდან აუცილებლად მიიღებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ვარაუდია და სხვა არაფერი. თავად სინიორ ფაბიო გვარწმუნებს, რომ მუშაობის გაგრძელება სურს, თუმცა მისი რადიკალური და არადიპლომატური განცხადებები ეჭვს მართლაც ბადებს. ცნობილია, რომ აპენინელი მწვრთნელი მეტისმეტად პატივმოყვარეა. შესაძლოა, ვერ აიტანა, რომ თვეების განმავლობაში მასზე აუგად საუბრობდნენ. გამორიცხულია, კალდერონისა და შუსტერის საიდუმლო შეხვედრით შეურაცხყოფილი არ დარჩენილიყო. მოკლედ, თავად რომ წავიდეს, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება და საკომპენსაციო თანხას არ გადაიხდის. ერთი რამ უდავოა, საიუბილეო, 30-ე საჩემპიონო ტიტული პირველ რიგში, ფაბიო კაპელოს მუშაობის შედეგია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო და ტიტულოვანი სპეციალისტი ესპანურ საფეხბურთო წრეებში ავანტურისტად შერაცხული რამონ კალდერონისგან გაცილებით მეტ პატივისცემას იმსახურებდა...

ეჭვს იმის შესახებ, რომ კაპელოს მადრიდული დღეები დათვლილია, **მიგელ ანხელ პორტუგალთან** გაფორმებული კონტრაქტი ბევრად დამაჯერებელს ხდის. სანტანდერის "რაინგის" მთავარ მწვრთნელს "რეალის" პრეზიდენტმა ტექნიკური მდივნის პოსტი შესთავაზა. ეს თანამდებობა დღემდე **ფრანკო ბალდინის** ეკუთვნის. "დიარიო ასი" სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ კაპელოს მეგობარ ბალდინის პორტუგალთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ გასაიდუმლოებულ ინფორმაციას მალე გაუმხელენ და რომის თვითმფრინავზე ბილეთს აუღებენ.

### ის ორაგულივით დინების საწინააღმდეგოდ ცურავს

ამასობაში, კაპელო ესპანელ და იტალიელ ჟურნალისტებს დაუზარელად ესაუბრება. თავდაპირველად "დიარიო მარკაში" გამოქვეყნებულ მასალას გაგაცნობთ, შემდეგ კი "ლა გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემული ექსკლუზიური ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ. მაშ ასე, "დიარიო მარკაში" ვკითხულობთ: *"ხელმძღვანელობის დუმილი მალე დაირღვევა. ვგრძნობ, რომ ფეხქვეშ მიწას მაცლიან. ჩემი თავი დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე ორაგულს მაგონებს. გუშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, "ბერნაბეუზე" ახალ არქიტექტორს მოიყვანენ. დარწმუნებული ვარ, დირექტორატი ჩემთან მუშაობის გაგრძელებას არ ისურვებს. ეს-ესაა გავიგე, რომ ფრანკო ბალდინის ათავისუფლებენ. განა, ამით ცოტა რამ არის ნათქვამი? თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ 17 ივნისს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული სეზონი მოვიგე. სამუშაოში მთელი სიცოცხლე ჩავაქსოვე. ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, რომ პირველი ადგილი დავიკავეთ. მუშაობის გაგრძელების სურვილი არ დამიკარგავს, მაგრამ ვიმეორებ, ეს საკითხი არ არის ფაბიო კაპელოზე დამოკიდებული. როგორც მითხრეს, უმაღლესი ხელისუფალი პრედრაგ მიატოვიჩისკენ იშვერს ხელს. მიჭირს, არ გამელიმოს. მიატოვიჩმა თავად არ იცის, დარჩება თუ არა თანამდებობაზე. რა თქმა უნდა, პედია ჩემს ბედს ვერ გადაწყვეტს. ბევრ რამეზე მწყდება გული. ვერავინ წარმოიდგენს, რამდენი ვინერვიულე "მალიორკასთან" მატჩის დაწყებამდე და მისი მსვლელობისას. მეშინოდა, ქულები არ დაგვეკარგა. ბიჭების დიდ ნაწილს შიშისგან ფეხები უკანკალებდა. მართალია, სახლში ვთამაშობდით, მაგრამ შეკვეთით მოგება არ არის იოლი. ჩვენ ყველა ბარიერი გადავლახეთ. ამით ძალიან ვამაყობ. მიხარია, რომ გულშემატკივრებს დიდი ბედნიერება ვაჩუქე. საჩემპიონო ტიტულს ისინი ოთხი წლის განმავლობაში ელოდნენ."*

სინიორ კაპელოსთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ იტალიურ მედიაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ის აპენინებზე აღარ მუშაობს, მაგრამ იტალიელებს თანამემამულე ცხადია, არ ავიწყდებათ და მისი პრობლემები სულაც არ ახარებთ. "ლა გაძეტა დელო სპორტმა" ლეგენდარულ მწვრთნელთან ექსკლუზიური ინტერვიუს მომზადება გადაწყვიტა. მილანელმა კორესპონდენტმა რესპონდენტს, პირველ რიგში, რამონ კალდერონთან არსებული ურთიერთობისა და შესრულებული სამუშაოსადმი პრეზიდენტის დამოკიდებულების შესახებ ჰკითხა: *"წარმოდგენა არ მაქვს, რას ფიქრობს კალდერონი. ალბათ, სჯობს, თავად მას ჰკითხოთ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთი წლის წინათ წარმატებებისა და გამარჯვებების მოსაპოვებლად ჩამომიყვანა. პირობა დავდე, რომ მოვიგებდით. სიტყვა შევასრულე. ჩვენ ესპანეთის ჩემპიონები გავხდით. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შევასრულე. არ ვაპირებ, ზედმეტი კითხვა დავსვა. ყველაფერი დღესავით ნათელია, "რეალი" ჩემპიონია და ახლა მათი საქმეა ამ მიღწევას როგორ შეაფასებენ. გავიგე, ჭორი ვრცელდება, თითქოს საჩემპიონო სალამოს მე და პრეზიდენტმა ვიჩხუბეთ. მსურს მოგახსენოთ, რომ სრული სიცრუეა. მსგავსი არაფერი მომხდარა."*

"ლა გაძეტა დელო სპორტის" თანამშრომელმა კაპელოს მორიგი კითხვა "ბერნაბეუზე" დარჩენის შანსებზე დაუსვა: *"როგორ გითხრათ, შეგვიძლია ვიმარჩიელოთ, ან მონეტა ავაგდოთ. ესპანელებს უკვე ვუთხარი, ახლა თქვენც მოგახსენებთ, რომ დარჩენა მინდა. მსურს, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვო. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის თავი დავიზღვიე და 19 ივლისს მადრიდში დასაბრუნებელი ავია ბილეთი დავჯავშნე. 20 ივლისს შეკრება იწყება. თუ გადაწყვეტენ, რომ გამოსაცდელი დროით დამტოვონ, ბედნიერად ვერ ვიგრძნობ თავს. მიმაჩნია, რომ ჩემი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელი ამგვარ დამოკიდებულებას არ იმსახურებს, მაგრამ მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში დავრჩები და შევეცდები ჩემი საქმე კვლავ მაღალ დონეზე ვაკეთო."*

და მაინც: თუ, კაპელოს გათავისუფლებას მაინც გადაწყვეტენ, "რეალის" დამრიგებელი სკანდალს არ მოაწყობს: *"თუ მეტყვიან, წადიო?! რა თქმა უნდა, ავდგები და წამოვალ. როგორც ესენი ამბობენ,* Puerta Grande*-თი (დიდი კარი) გამოვალ და სამშობლოში დავბრუნდები."*

ახლა ბევრს აინტერესებს, "რეალიდან" გაგდების შემთხვევაში ჩაიბარებს თუ არა კაპელო ახალ გუნდს. იტალიელ სპეციალისტს ამის დიდად ეეჭვება: *"ყველა დიდ გუნდს უკვე ჰყავს მწვრთნელი. არ მგონია, მათთან თანამშრომლობის გაწყვეტა და ჩემი მიპატიჟება ისურვონ. თქვენ მეკითხებით, "ბარსელონაში" თუ ვიმუშავებდი. შეურაცხყოფილი მწვრთნელისთვის ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ "ბარსაში" არასოდეს წავალ. არ მინდა, "რეალს" ვუღალატო. შესაძლოა, ვინმეს იმედი ჰქონდეს, რომ "სკუადრა აძურაში" დავიწყებ მუშაობას. რა სისულელეა, "ნაციონალეს" დონადონი, გენიალური მწვრთნელი ჰყავს. მისი მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ისე კი დიდი მიზნების მქონე რომელიმე უცხოურ ნაკრებს სიამოვნებით გავწვრთნიდი."*

კაპელო არ ტყუოდა, როცა **პრედრაგ მიატოვიჩზე** ჩამოაგდო სიტყვა. კალდერონის გუშინდელი განცხადება ვითარებაში უფრო კარგად გაგვარკვევს: *"მთავარი მწვრთნელის საკითხზე მომავალ კვირამდე სიტყვასაც არ დავძრავ. ახლა ამ თემაზე საუბრის დრო არ არის. ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით ძალიან ბედნიერები ვართ. მოდით, ცოტაც მოვიცადოთ. კაპელო ამ დიდი გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედია, მან მილიონობით ადამიანს დიდი ბედნიერება აჩუქა, მაგრამ ჯერჯერობით, სენიორ ფაბიოს მომავლის შესახებ მართლაც ვერაფერს ვიტყვი. ისე მოვიქცევი, როგორც პრედრაგ მიატოვიჩი მეტყვის და მირჩევს. შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი გენერალურ დირექტორზეა დამოკიდებული. სიტუაცია მან უნდა გააანალიზოს და არგუმენტები გამაცნოს. თუ ჩათვლის, რომ იტალიელმა მუშაობა უნდა გააგრძელოს, პრობლემა გადაიჭრება. მოკლედ, ცოტაც მოვითმინოთ. ახლა კი უფლება მოგვეცით, მიღწეულით გავიხაროთ და ამაღლებული განწყობა შევინარჩუნოთ."*

ესპანურმა მედიამ საინტერესო დასკვნა გააკეთა. უკლებლივ ყველა ავტორიტეტული მიმომხილველი მიიჩნევს, რომ კალდერონს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და მიატოვიჩზე ხელის შეწმენდას ცდილობს...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



აურზაური დავიდ სუასოს გამო

ტრანსფერი

# მილანი-ინტერი: ეს უკვე ომია!

## გალიანი: ნურავის ეწყინება, მაგრამ სუასო ჩვენია!

### მილანმა ჰონდურასელი ფორვარდი ინტერს ცხვირწინ აacaლა. სატრანსფერო კამპანია დასრულებულია? ეტოო არ გამოდის...

გუშინ სენსაციური გარიგება მოხდა. ჰონდურასელი ფორვარდი **დავიდ სუასო**, რომელმაც "ინტერში" სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და წინასწარი კონტრაქტიც გააფორმა, მოულოდნელად "მილანში" აღმოჩნდა. ვარაუდობენ, რომ ეს ტრანსფერი ტრადიციულ მოქიშპეთა შორის სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს, მაგრამ **ადრიანო გალიანის** ეს ნაკლებად აღელვებს, მთავარია საქმე და კონტრაქტი, რომელზეც ხელმოწერები უკვე გაკეთებულია: "ჰონდურასელი თავდამსხმელი დავიდ სუასო მომავალი სეზონიდან "მილანის" მაისურას მოირგებს. ტრანსფერის საკითხი გუშინ ღამით, "კალიარის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა" - ვკითხულობთ კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

გარიგებას ადასტურებს სარდინიელთა პრეზიდენტი **მასიმო ჩელინოც**: "დიახ, უკვე ყველაფერი მოგვარებულია. "მილანთან" ხელშეკრულება გავაფორმეთ. საქმე უმოკლეს დროში დავუსვით წერტილი. მასიმო მორატი? მესმის, მაგრამ "ინტერის" პრეზიდენტთან დაკავშირებას გუშინ მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი. დრო კი არ ითმენდა, რადგან "მილანთანაც" გარკვეული ვალდებულებები გვქონდა. ისინი საჭირო დროს შეგვეხმიანენ და ტრანსფერიც გადაწყდა".

არადა, ორი დღის წინათ იგივე ჩელინო აცხადებდა, რომ მორატისთან ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდა. "ინტერი" ფეხბურთელში 6.5 მილიონ გირვანქას იხდიდა და ზედაც "ტრევიზოში" განათხოვრებულ ფორვარდ **რობერტ აკვაფრესკასა** და მცველ **მარკო ანდრეოლის** ამატებდა. მაგრამ გალიანიმ ჭკუა იხმარა. უბრალოდ, მან გაცილებით მიმზიდველი წინადადება შესთავაზა "კალიარის" პრეზიდენტს და ამ უკანასკნელსაც არჩევანი აღარ დარჩა. მორატი კი მის სატელეფონო ზარს არ პასუხობდა...

ერთი სიტყვით, "მილანი" სარდინიელთა ანგარიშზე 10 მილიონ გირვანქას გადარიცხავს. ამას გარდა, უკვე შეთანხმებულია ფეხბურთელის პირადი, 4-წლიანი კონტრაქტიც. "სან სიროზე" მისი სეზონური ჯამაგირი 2.5 მილიონი გირვანქა იქნება. სუასო 27 წლისაა. სარდინიაზე მან მთელი 8 წელი გაატარა. "კალიარიში" ის 1999 წელს, ტეგუსიგალპის "ოლიმპიიდან" გადავიდა.

ამასობაში, ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი გალიანიმაც გააკეთა: "ჩვენ ეს ვინმეს საწყენად თუ გასალიზიანებლად არ გაგვიკეთებია. ჩელინოს ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მოვურიგდით, რომ სუასოს შევიძენდით. ახლა, მან გვითხრა, რომ "ინტერთან" მოლაპარაკებები დასრულებული ჰქონდა. ჩვენც ვიმოქმედეთ და... არ მესმის, რა შუაშია აქ "ინტერი" და წყენა? შარშან, იბრაჰიმოვიჩს "მილანი" ყიდულობდა, მაგრამ ბოლო მომენტში ის "ინტერში" აღმოჩნდა. ჩვენ არაფერი გვწყენია. ეს სატრანსფერო ბაზარია. კონკრეტულ მომენტში იმარჯვებს ის, ვინც სწრაფად და მიზანმიმართულად მოქმედებს".

ვერაფერს იტყვი, რკინის ლოგიკაა. ბოლოს კი გალიანიმ **სამუელ ეტოოზეც** ისაუბრა. ერთი დღით ადრე, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა კამერუნელი ფორვარდი მთავარ სამიზნედ გამოაცხადა, მაგრამ აი, რა გაირკვა: "ეტოო? ძალიან ძნელი იქნება. შეიძლება, კამერუნელი ვერ ვიყიდოთ, მაგრამ არა უშავს, სუასო უკვე ჩვენია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამით სატრანსფერო კამპანია დავასრულეთ. ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის ახალი ფეხბურთელების აუცილებლობას ვერ ვხედავთ. "მილანი" ევროპის ჩემპიონია და შესაბამისად, არიან მოთამაშეები, რომელთაც დიდი ამოცანების გადაჭრა კვლავაც ხელეწიფებათ".

### მორატი: ჩელინო ტყუის!

ცხადი იყო, რომ **მასიმო მორატი** ამ საქმეს კომენტარის გარეშე არ დატოვებდა. და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კომენტარი მხოლოდ დასაწყისია იმ პროცესისა, რაც ამის მერე შეიძლება მოხდეს. "ინტერის" ბოსი უკიდურესად აღშფოთებულია. შეიძლება, მორატიმ ფიფაში ან უეფაში იჩივლოს. აი, რა განაცხადა მან ცხელ გულზე:

"ჩელინო მატყურაა. ახლა უკვე ვიცი, ვინ ვინ არის. ფეხბურთელმა კონტრაქტი ჩვენთან გააფორმა. ამის უარყოფა წარმოუდგენელია. ასე რომ, ვნახავთ რა და როგორ იქნება. ჩელინო ვერ დამიკავშირდა? აბსურდია, მას არც უცდია ჩემთან დაკავშირება. არანაირი გამართლება არ აქვს "მილანის" საქციელსაც, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ მეთოდებს"...

"კალიარი" კი თავს იმართლებს. სარდინიელთა სპორტული დირექტორი **ნიკოლა სალერნო** ირწმუნება, რომ სუასოს "ინტერთან" კონტრაქტი არ გაუფორმებია:

"ჩვენ გვინდოდა, ტრანსფერი რაც შეიძლებოდა მალე დაგვეხურა. ფეხბურთელს "ინტერთან" კონტრაქტზე ხელი არ მოუწერია. ამდენად, მათი განრისხების მიზეზი უსაფუძვლოა. გალიანიმ და ჩელინომ სწრაფად მიაღწიეს შეთანხმებას, ეს არის და ეს. რაც შეეხება ფინანსურ დეტალებს, ამაზე საუბარი არ მსურს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ანდრეოლისა და აკვაფრესკას ტრანსფერებთან დაკავშირებით გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები გვექმნებოდა".

რეალი. ჩემპიონობის შემდეგ...

# ფაბიო კანავარო: შეიძლება, ნაპოლიში...

## ...მაგრამ კონტრაქტი რეალთან მაქვს და არა კაპელოსთანო

**ფაბიო კანავარო** არ გამორიცხავს, რომ "ნაპოლიში" დაბრუნდეს. მაგრამ ეს უფრო მისი კარიერის ბოლოს მოხდება, ვიდრე ახლა, თუმც გამორიცხული არც ესაა. მიუხედავად ჩემპიონობისა, "რეალში" ცვლილებები იგეგმება. პირველ რიგში, ეს ეხება **ფაბიო კაპელოს**, რომელსაც სამეფო კლუბთან განშორება მოუწევს. იტალიური გამოცემა "ლა სტამპა" დაინტერესდა, რამდენად იმოქმედებს კაპელოს წასვლა კანავაროს მადრიდულ მომავალზე. ფეხბურთელი ასე პასუხობს:

"კონტრაქტის მიხედვით, მადრიდში კიდევ ორი წელი უნდა დავრჩე. მაგრამ ვაღიარებ, რომ იტალიაში დაბრუნებაზეც არ ვიტყოდი უარს. ძალიან კარგი იქნებოდა, კარიერა "ნაპოლიში", ჩემს მშობლიურ კლუბში დამესრულებინა, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტიისის გეგმებში მოვიაზრები. ამიტომ, არ მინდა, მას ხელი შევუშალო... რაც შეეხება კაპელოს, უნდა გითხრათ, რომ მე ხელშეკრულება მაკავშირებს "რეალთან" და არა მწვრთნელთან. ისე, მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ერთი წუთითაც არ ვიფიქრებდი იმაზე, უნდა დარჩეს კაპელო თუ არა. ის უდიდესი სპეციალისტია და ეს ამ სეზონშიც დაამტკიცა, მიუხედავად იმ მძაფრი კრიტიკისა, რაც მის მიმართ ისმოდა".



კანავარო რეალთან ერთად ზეიმობს



ხოან ლაპორტა

ბარსელონა

# ლაპორტა: ეტოო, რონალდინიო და რიიკაარდი რჩებიან

## პრეზიდენტი გუნდისგან მეტ ძალისხმევასა და თავგანწირვას მოითხოვს. მას არ დაუმალავს, რომ დისციპლინა საგრძნობლად უნდა განმტკიცდეს

გუშინ "ბარსელონის" პრეზიდენტმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. **ხოან ლაპორტამ** გასული წლის შედეგები შეაჯამა და ჟურნალისტებთან საუბრისას კატალონიური გრანდის მიერ დაშვებული შეცდომები გულწრფელად აღიარა. პრეზიდენტი თვითკრიტიკული გახლდათ, თუმცა ყველაზე დიდი წყენით მან ფეხბურთელების ერთ ნაწილზე ისაუბრა. სენიორ ხოანის თქმით, მათ დაკისრებული მოვალეობები ვერ შეასრულეს. გულშემატკივრებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რა გეგმებს ისახავს "ბარსა" საგაისოდ. ბატონმა ლაპორტამ ინჩასებს სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდა. **სამუელ ეტოო, რონალდინიო** და **ფრანკ რიიკაარდი** გუნდში დარჩებიან: "სამუელისა და გაუჩოს გაყიდვა აზრადაც არ მოგვსვლია. ჩვენ გვსურს, რომ კარიერა მათ "კამპ ნოუზე" გააგრძელონ და აქ მრავალი წელი გაატარონ. იმავეს ვიტყვი ფრანკ რიიკაარდთან მიმართებაშიც. ხელმძღვანელობა კლუბს მომავალშიც მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საუკეთესო პირობებს შევქმნით იმისთვის, რომ ბიჭებმა მშვიდად ივარჯიშონ. წლევანდელმა სეზონმა დიდი იმედგაცრუება მოგვიტანა, მაგრამ მზად ვართ, ყველაფერი დავივიწყოთ. სანაცვლოდ კი მომავალ წელს გაცილებით მეტ ძალისხმევასა და თავგანწირვას მოვითხოვთ. დისციპლინა უნდა გამტკიცდეს. ყველას უნდა ესმოდეს, რომ მოვალეობების შეუსრულებლობა რეაგირების გარეშე არ დარჩება. ეს "ბარსელონაა". გუნდი, რომელიც მუდამ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის."

ამის შემდეგ სენიორ ლაპორტამ მისი ოთხწლიანი მუშაობა შეაფასა და საზოგადოებას მოახსენა, რომ ყოველ მხრივ კმაყოფილია. "ბარსელონამ" სპორტული, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით დიდ წარმატებებს მიაღწია. პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ორჯერ გამარჯვებამ და ჩემპიონთა თასის მოპოვებამ ფინანსურ მდგომარეობაზე საოცრად პოზიტიურად იმოქმედა. "ბარსას" არნახულად დიდი ფული გაუჩნდა. ალბათ, ამით უნდა ავხსნათ, რომ კატალონიელები ექვსი ახალწვეულის გადაბირებას ნამყვანი მოთამაშეების გაყიდვის გარეშე აპირებენ: "როგორც პრეზიდენტი, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ მომავალი სეზონისთვის ექვსი ფეხბურთელის დამატებას შევეცდებით. თანამედროვე სატრანსფერო ბაზარი იმდენად სპეციფიკურია, რომ წინასწარ ვერანაირ გარანტიას ვერ გავცემ, თუმცა გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ მედგრად ვიბრძოლებთ. იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც იმედები გაგვიცრუეს, აუცილებლად გავყიდით, მაგრამ შემოსული თანხა საკმარისი არ იქნება იმისთვის, რომ შემადგენლობა საუკეთესო მოთამაშეებით გავაძლიეროთ. ფული საკმაოდ გვაქვს და გადავწყვიტეთ, ერთი მცველი, ერთი განაპირა ნახევარმცველი, ორი შუახაზელი და ორი ფორვარდი ვიყიდოთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. "

უახლოეს დღეებში **ჩიკი ბეგირისტაინი ჟულიანო ბელეტის, ტიაგო მოტას, ედმილსონის, სილვინიოს, ლუდოვიკ ჟიულის, სანტი ესკეროსა** და **ხავიერ სავიოლას** მენეჯერებს შეხვდება და გაუმხელს, რომ მათ კლიენტებს "ბარსაში" დარჩენის შანსი არ აქვთ. კატალონიელებს ექვსი ფეხბურთელის გაყიდვის საშუალება მიეცემათ. სავიოლას სანაცვლოდ კი ერთ ცენტსაც ვერ მიიღებენ. როგორც იცით, არგენტინელ ფორვარდს კონტრაქტის ვადა ამოეწურა და თავისუფალი აგენტის სტატუსით აღიჭურვა.

სავარაუდო ტრანსფერი

# კვალიარელა: მანჩესტერმა მოუმატა

## სამპდორიამ ფორვარდი უდინეზესგან გამოისყიდა

"მანჩესტერ იუნაიტედი" რომ "სამპდორიის" ფორვარდ **ფაბიო კვალიარელას** ყიდვას ცდილობს, ახალი ამბავი არ არის. ფეხბურთელი, რომელმაც ამ სეზონში გაიბრწყინა (13 გოლი სერია A-ში), მერე კი იტალიის ნაკრების შემადგენლობაში ნათანაშები ბოლო მატჩით (დუბლი ლიტვასთან) სპეციალისტები კიდევ უფრო ხმამაღლა აალაპარაკა, ინგლისური პერსპექტივის გამო სრულ ეიფორიაშია. მაგრამ "სამპდორიის" პრეზიდენტ **რიკარდო გარონეს** 23 წლის თავდამსხმელი არ ეთმობა. გენუელთა ახალი მწვრთნელი **ვალტერ მაძარიც** დაჟინებით სთხოვს შეფს, კვალიარელა როგორმე ერთი სეზონით მაინც შეინარჩუნოს. მაგრამ გარონე ხვდება, რომ ეს თითქმის შეუძლებელია.

თავდაპირველად, "მანჩესტერი" ფეხბურთელში 10 მილიონ გირვანქას იძლეოდა. ცხადია, ხელმოკლე "სამპდორიისთვის" ეს ის თანხაა, რომელზეც უარის თქმა ძალიან ძნელია. პრეზიდენტი ვაჭრობას იწყებს. გათვლა მარტივია: რაკი ხედავს, რომ ფორვარდს ვერ შეინარჩუნებს, გარონე ცდილობს, "მანიუს" რაც შეიძლება მეტი დასცინცლოს. გუშინდლამდე, "კვალიაგოლზე" სანახევრო წილს "უდინეზეც" ფლობდა, მაგრამ როგორც "ჩენელმა" დაწერა, კლუბებს შორის მიღწეული შეთანხმებით, "სამპმა" უდინელებს 4 მილიონი გირვანქა გადაუხადა და ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები სრულად გამოისყიდა.



ფაბიო კვალიარელა

ამის პარალელურად, გენუელთა გენერალურმა დირექტორმა **ბეპე მაროტამ** განაცხადა, რომ კვალიარელა მხოლოდ "სუპერშეთავაზების" შემთხვევაში გაიყიდება, თუმცა თანხა არ დაუსახელებია. ხოლო თუ თავად კვალიარელას დავუჯერებთ, ინგლისის ჩემპიონს შეთავაზება უკვე გაუზრდია: "ინგლისელებმა თანხას მოუმატეს, რაც ტრანსფერის სრულყოფისთვის უკვე სერიოზული საფუძველია. ბედნიერი ვიქნები, თუ პრემიერლიგაში გადავალ და თანაც ისეთ დიდ კლუბში, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# იაკუინტა უკვე ტურინელია

## იუვენტუსი ტრეზეგესა და კამორანეზის შენარჩუნებას ეცდება

გუშინ "იუვენტუსმა" **ვინჩენცო იაკუინტას** ტრანსფერი სრულყო. "უდინეზეს" ან უკვე ყოფილმა ფორვარდმა "ბებერ ქალბატონთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მსოფლიო ჩემპიონის გადაბირება "იუვეს" 11.3 მილიონი ევრო დაუჯდა. 27 წლის იაკუინტა "უდინეზეში" 2000 წელს გადავიდა, მანამდე კი, "რეჯოლოში" (სამოყვარულო ლიგა), "პადოვასა" და "კასტელ დი სანგროში" თამაშობდა. ფრიულელთა მაისურით მან 187 მატჩი ჩაატარა და 64 ბურთი გაიტანა, ბოლო ჩემპიონატის მონაგარი კი 14 გოლია. გასულ წელს, **მარჩელო ლიპიმ** ის მუნდიალისთვის "სკუადრა აძურაში" მიიწვია, სადაც განის ნაკრებთან გოლითაც გამოიჩინა თავი.

*"უდინეში გატარებული 7 სეზონის შემდეგ, ვფიქრობდი, რომ დრო იყო, სერიოზული ნახტომი გამეკეთებინა,* - თქვა იაკუინტამ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მოწყობილ სახელდახელო პრესკონფერენციაზე, - *ახლა იმ ასაკში ვარ, როცა ჩემი ოცნებების განხორციელებისა და რეალური პოტენციალის გამოვლენის დროა. ვიცი, რომ აქ წნეხი გაცილებით დიდია, მაგრამ ეს არ მაშინებს, პირიქით, ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი თავგადასავალი. ვიცი ისიც, რომ "იუვენტუსში" დამკვიდრება ადვილი არ იქნება, მაგრამ ეს ჩემი შანსია, თან გამოუცდელიც არ ვარ და მჯერა, არ გამიჭირდება. მოვედი დიდ გუნდში, რომელსაც დიდი მიზნები აქვს, როგორც იტალიაში, ისე ევროპაში. გავეცანი პროექტს და აღფრთოვანებული დავრჩი. დარწმუნებული ვარ, "იუვენტუსი" მალე დაიბრუნებს ჩვეულ პოზიციებს და ბედნიერი ვიქნები, თუ ამაში წვლილს მეც შევიტან".*

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ იაკუინტას ტრანსფერი **დავიდ ტრეზეგეს** გარდაუვალ აზარგებას ნიშნავს. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის ფრანგი ფორვარდის პირდაპირი ალტერნატივაა. ისინი ცოტა განსხვავებული მანერით თამაშობენ, თან ჯერ არავინ იცის, რას ფიქრობს **კლაუდიო რანიერი**. ამასობაში კი, "იუვენტუსის" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** სენსაციური განცხადება გააკეთა. თურმე, "სინიორა" ყველა ღონეს იხმარს ტრეზეგესა და **მაურო კამორანეზის** შესანარჩუნებლად:



ვინჩენცო იაკუინტა და იუვენტუსის გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანი

*"ჩვენ გვინდა, რომ ტრეზეგე დარჩეს და ამისთვის ყველაფერს ვილონებთ. დარწმუნებული ვარ, შეთანხმებას მივაღწევთ. იმავეს ვიტყოდი მაურო კამორანეზიზეც, რომლის საკითხი სამ-ოთხ კვირაში გადაწყდება".*

შეფს იმედი აქვს, რომ ნახევარმცველ **სერხიო ალმირონსა** ("ემპოლი") და მცველ **გაბრიელ მილიტოს** ("სარაგოსა") უახლოეს დღეებში წარადგენენ. და კიდევ ერთი ინფორმაცია, რაც "იუვეს" ბოსმა მედიას გაუმხილა: კლუბმა მეპატრონეებისგან 72 მილიონი გირვანქის ინვესტიცია მიიღო. ეს ის ფულია, რასაც **ანიელების** ოჯახი "იუვეს" აპრილში დაჰპირდა. კობოლი ჯილი უზომოდ გახარებულია - ჩვენი საზაფხულო გეგმებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი თანხა მივიღეთო...



სამეფო კლუბი პრეზიდენტ შიმონ პერესთან აუდიენციაზე

რეალი

# ჩემპიონები ისრაელში

## გადაღლილი გუნდი მშვიდობის მატჩში

გუშინ ესპანეთის ჩემპიონები ისრაელს ესტუმრნენ. წუხელვე "რეალმა" ისრაელისა და პალესტინის გაერთიანებულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩი გამართა. ანგარიში არაამხანაგური დაფიქსირდა, 8:0. სამეფო კლუბს მხოლოდ ორი ვარსკვლავი აკლდა: **დევიდ ბექჰემი** და **რობერტო კარლოსი**. პირველს ტრავმა ჰქონდა. მეორე კი სტამბოლში გაემგზავრა და "ფენერბაჰჩესთან" გააფორმა კონტრაქტი. "მშვიდობის მატჩი" ისრაელის ახლადარჩეული პრეზიდენტის **შიმონ პერესის** თაოსნობით გაიმართა. ნობელის პრემიის ლაურეატი პრეზიდენტი პერესის სახელობის მშვიდობის ცენტრის დამაარსებელია. ეს ცენტრი უთვალავ საქველმოქმედო და სამშვიდობო პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთ მათგანში მონაწილეობას თვით ესპანური გიგანტი დათანხმდა. თამაშის წინ მადრიდელთა კაპიტანმა **რაულმა** თანაგუნდელთა სახელით ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბედნიერები ვართ, რომ აქ ვიმყოფებით. გვინდა, დიდ საქმეში მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ. მართალია, დაღლილები ვართ, მაგრამ უფლება არ გვაქვს, გულშემატკივარი გავაწბილოთ. ჩვენს სანახავად ათასობით ადამიანი მოვა."*

პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირმა **რუუდ ვან ნისტელროიმ, იკერ კასილიასმა** და **ფაბიო კანავარომ**, რაულთან ერთად, ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს. შესვენების შემდეგ **ფაბიო კაპელომ** ახალგაზრდები გამოიყვანა. მშვიდობის გუნდში ასპარეზობდნენ ისრაელის ნაკრების მეკარე **დუდუ ავათი** ("დეპორტივო"), ნახევარმცველი **ომრი აფეკი** (იერუსალიმის "ბეითარი"), ჰაიფის "მაკაბის" პალესტინელი ნახევარმცველი **აბას სუანი** და სხვები.

### ვალენსია: სნეიდერი არა, ფლამინი მოდის?

ვალენსიელებმა "აიაქსთან" საერთო ენა ვერ გამონახეს. ჰოლანდიელი ნახევარმცველი **ვესლი სნეიდერი** "მესტალიაზე" არ ითამაშებს. "ღამურების" თავკაც **კიკე სანჩეს ფლორესს** ბევრი აღარ უფიქრია. მან არსენალელ **მატიო ფლამინის** დაადგა თვალი. ფრანგი ნახევარმცველი ლონდონში სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას უჩივის. ამიტომ ვალენსიელთა შეთავაზებას სიამოვნებით განიხილავს.

### სტოიჩკოვი სელტაში რჩება

**ხრისტო სტოიჩკოვი** "სელტაში" დარჩება. ბულგარელმა მწვრთნელმა გალისიელები სეგუნდა დივიზიონში გავარდნისაგან ვერ იხსნა, მაგრამ კლუბს მასთან გამოთხოვებაზე არცკი უფიქრია. მეტიც, სტოიჩკოვმა მომავალი სეზონისათვის მზადება დაიწყო და პირველი ტრანსფერიც გაჩარხა. ახალწვეული ხრისტოს თანამემამულეა, 21 წლის მცველი **პეტერ ზანევი**. ის ლოვეჩის "ლიტექსის" საკუთრებაა და "სელტაში" ერთწლიანი იჯარით ითამაშებს.

### რუსეთი vs ინგლისი ლუჟნიკიზე

რუსეთი ინგლისს "ლუჟნიკიზე" უმასპინძლებს. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი სექტემბერში გაიმართება. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **ვიტალი მუტკო** ამბობს, რომ უეფაში ორი სტადიონის განაცხადს გაგზავნის - დღის წესრიგიდან არ მოხსნილა ჩერკიზოვოში "ლოკომოტივის" არენის საკითხიც. მაგრამ თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება, ნაკრებები "ლუჟნიკიზე" ითამაშებენ. არენის ხელმძღვანელობასთან მიღწეული სიტყვიერი შეთანხმება ბუნებრივი საფარის დაგების შესახებ. უცნობია, ვინ გადაიხდის მინდვრის საფასურს. "ლუჟნიკიზე" მოთამაშე ორი მოსკოვური კლუბისათვის, "სპარტაკისა" და "ტორპედოსთვის" კი არავის უცნობებია, რომ მინდვრის სამუშაოების გამო საშინაო მატჩების ჩატარება, შეიძლება, სხვაგან მოუხდეთ.

ტრანსფერი

# რობერტო კარლოსი: ფენერბაჰჩე დიადია!

## ბრაზილიელი გალაქტიკო თურქეთში ჩავიდა

**რობერტო კარლოსს** სტამბოლში მეფური დახვედრა მოუწყვეს. "ათა თურქის" აეროპორტში მას "ფენერბაჰჩეს" უამრავი გულშემატკივარი შეეგება. ბრაზილიელი ვარსკვლავი ავტომანქანაში გაჭირვებით ჩასვეს და "შუქრუ სარაჩოღლუს" სტადიონისაკენ გააქანეს. იქ კი ჟურნალისტების წინაშე კონტრაქტის ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა. 34 წლის მცველმა "ფენერს" საკუთარი მომავალი ორი წლით დაუკავშირა. კონტრაქტის ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებიათ, მაგრამ მიმომხილველებს, აბა, რას დაუმალავდნენ. სანდო წყაროს ინფორმაციით, კარლოსს წელიწადში 4 მილიონ ევროს გადაუხდიან, ხოლო პრემიების სახით, შეიძლება, კიდეც 1 მილიონი მოიხვეჭოს. *"ვამაყობ, რომ ეს მაისურა მოვირგე. მინდა, ახალ კლუბთან ერთად ევროპული თასი მოვიპოვო,* - თქვა კარლოსმა და იქვე თურქულად შესძახა - *"ფენერბაჰჩე" დიადია, "ფენერბაჰჩე" ჩემპიონია!"* ბედნიერმა გულშემატკივრებმა კარლოსის სახელის სკანდირება დაიწყეს.

კარლოსის ტრანსფერის შემდეგ "ფენერში" ბრაზილიური დიასპორა ხუთ ფეხბურთელამდე გაიზარდა. ამას დავუმატოთ ბრაზილიელი მწვრთნელი **ზიკოც**, რომელიც თურქეთში შარშანდელი ზაფხულიდან მოღვაწეობს. "ფენერბაჰჩეს" რობერტო კარლოსის შეძენა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ სურდა, მაგრამ ფეხბურთელმა მადრიდში დარჩენა გადაწყვიტა. არც შემცდარა: ბოლო ესპანური სეზონში ჩემპიონის ტიტული მოიგო. "რეალში" ყოფნისას ბრაზილიელი ვარსკვლავი ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (1997, 2001, 2003, 2007) და სამჯერ დაეუფლა ჩემპიონთა თასს (1998, 2000, 2002). გასული სეზონი "ფენერბაჰჩესთვისაც" წარმატებული გამოდგა. კლუბმა 100-წლოვანი იუბილე მე-17 ჩემპიონობით დააგვირგვინა.



რობერტო კარლოსი

სპარტაკი

# ფედოტოვი ჩერჩესოვმა შეცვალა

## არგენტინელი თავდამსხმელი 9 მილიონად

მოსკოვის "სპარტაკს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. სახალხო გუნდმა **ვლადიმირ ფედოტოვი** დაითხოვა და **სტანისლავ ჩერჩესოვს** გაუფორმა კონტრაქტი. სპარტაკელებმა ჩემპიონატი შთამბეჭდავად დაიწყეს, მაგრამ მერე ჩავარდნა დაეწყოთ. კლუბმა ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო, აქედან სამჯერ დამარცხდა და პირველი ადგილიდან მეოთხეზე დაქვეითდა. დირექტორატმა ეს წარუმატებლობა საკმარის არგუმენტად მიიჩნია და რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო. ჩერჩესოვი კლუბში გასულ ზაფხულს დაბრუნდა. ის სპორტულ დირექტორად დანიშნეს. გუშინ კი ბოლო ოთხ წელიწადში სპარტაკელთა მეშვიდე დამრიგებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ უზარმაზარი ბიუჯეტის მიუხედავად, ამ ოთხი წლის განმავლობაში კლუბს ერთი უმნიშვნელო ტიტულიც კი არ მოუგია. 43 წლის ჩერჩესოვს შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა ჰქონდა. ის სახალხო გუნდთან ერთად ოთხჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი, რუსეთის ნაკრებთან ერთად კი 1994 წლის მუნდიალსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. კარიერის მიწურულს ის დრეზდენის "დინამოსა" და ინსბრუკის "ტიროლში" ასპარეზობდა. ფედოტოვი საბჭოთა ნაკრების ყოფილი ვარსკვლავია. ის 64 წლისაა და მთავარ მწვრთნელად გასული წლის აპრილში, ლატვიელი **ალექსანდრ სტარკოვის** ნაცვლად დანიშნეს. მან გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა, მაგრამ ფეხბურთელთა მიმართ საკმარისად მკაცრი არ იყო, რის გამოც გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებდა.

აქვე გეტყვით, რომ მოსკოველები არგენტინულ "სან ლორენსოსთან" მოლაპარაკებებს აწარმოებენ. განხილვის საგანია 22 წლის თავდამსხმელის **ესეკილ ლავესის** ტრანსფერი. რუსები არგენტინული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავში 9 მილიონ დოლარს იხდიან. შეთანხმება მიღწეულია. იურიდიული ფორმალობების მოგვარებისთანავე ლავესი მოსკოვს ეწვევა. მას ხუთწლიან კონტრაქტს და წელიწადში 1.5 მილიონ დოლარს შესთავაზებენ. ფეხბურთელის მომდევნო ტრანსფერიდან თანხის 20 პროცენტი "სან ლორენსოს" შეხვდება. ლავესის ტევესს ადარებენ. ის ორივე ფეხით საუცხოოდ თამაშობს და განსაკუთრებული ტექნიკური მონაცემებით გამოირჩევა.

გერმანიის ჩემპიონები

# შტუტგარტი ევერტონს მიუახლოვდა

## ჰელდტმა კი კონტრაქტი გააგრძელა...

ესპანური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გერმანიის ჩემპიონ "შტუტგარტს" "სარაგოსის" ბრაზილიელი თავდამსხმელის, **ევერტონის** გადაბირება სურს. როგორც იცით, შვაბები მომავალი სეზონისთვის მაღალი კლასის ფორვარდს ეძებენ. "დიარიო ასი" იტყობინება, რომ 26 წლის ევერტონის "შტუტგარტში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. როგორც იცით, ფეხბურთელი "სარაგოსაში" ორი წლის წინათ დორტმუნდის "ბორუსიიდან" გადავიდა. პირველ სეზონში მან 37 შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა და სპეციალისტებისგან ქება დაიმსახურა, მაგრამ ამ სეზონში ჩრდილში მოექცა (მხოლოდ 6 გოლი 28 მატჩში). "სარაგოსა" ახლა **ხავიერ სავიოლას** შეძენას აპირებს და ცხადია, რომ თუ ეს ტრანსფერი შედგა, ევერტონის ადგილი ძირითად შემადგენლობაში აღარ იქნება - **დიეგო მილიტოსა** და სავიოლას ბრაზილიელი კონკურენციას ვერ გაუწევს.

ევერტონით დაინტერესება შვაბური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმაც** დაადასტურა. ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, "სარაგოსა" მის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს. აქვე გეტყვით, რომ ჰელდტმა VFB-სთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა. პრეზიდენტ **ერვინ შტაუდტის** თქმით, "შტუტგარტის" გაჩემპიონებაში მენეჯერს უდიდესი როლი მიუძღვის - ჰელდტი ჩვენი წარმატების გარანტიააო, ამბობს ის.



ბექჰემსა და მის ოჯახს ამერიკის ბილეთები დაჯავშნილი აქვთ

ვარსკვლავის მოლოდინში

# ამერიკა ბექჰემს ელოდება

## გალაქსის უჭირს, დევიდი კი ტრავმას იშუშებს...

ᲙᲘᲓᲔᲕ კარგი, ამერიკული ლიგიდან არავინ ვარდება, თორემ **დევიდ ბექჰემს** გასავარდნი ზონიდან ამოსასვლელად მოუწევდა ბრძოლა. იმ დროს, როცა ინგლისელი გალაქტიკო "რეალთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონობისაკენ მიიწევდა, ლოს ანჯელესში თამაშს თამაშზე აგებდნენ. "გალაქსიმ" პირველობა სავალალოდ დაიწყო, ცხრა ტურში მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა და დასავლეთის ექვსგუნდიან კონფერენციაში ბოლოსწინა ადგილზე დაეშვა. მისი ორთვიანი მოუგებელი სერია გასულ უქმეებზე შეწყდა. ლოსანჯელესელებმა მათზე უფრო წყალწალებული "სოლტ ლეიკ სიტი" დაამარცხეს, 3:2.

MLS-ის რეგლამენტით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის რვა საუკეთესო კლუბი ჩემპიონობისათვის ბრძოლას ფლეი ოფში აგრძელებს. როგორც მიხვდით, "გალაქსი" საფლეიოფო ზონაში ჯერ არ იმყოფება. ამიტომ არაა გამორიცხული, ბექზის პირველი ამერიკული სეზონი მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდეს. ლოსანჯელესურ კლუბს **ფრენკ იალოპი** ავარჯიშებს. მწვრთნელი ცუდ თამაშს ტრავმების ეპიდემიას მიაწერს. ამას ისიც დაერთო, რომ "გალაქსის" საუკეთესო ბომბარდირი **ლენდონ დონოვანი** ამერიკის ნაკრებში გამოიძახეს. ის ეროვნულ გუნდს ოქროს თასზე ეხმარება. ამერიკელები ამ ტურნირს კოპა ამერიკისათვის მოსამზადებლად იყენებენ. ოქროს თასზე იმყოფებიან კანადელები - **ანტე იაზიჩი** და **კევინ ჰარმსეც**. ხვალ კანადა და ამერიკა ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან.

"გალაქსის" შემადგენლობა მუდმივად იცვლება. ამჟამად გუნდში მხოლოდ სამი ფეხბურთელია ისეთი, რომელთაც ბოლო ორი სეზონი ლოს ანჯელესში გაუტარებიათ. კლუბის გენერალური მენეჯერი **ალექსი ლალასი** ტრანსფერებზე მუშაობას აგრძელებს. ბექჰემთან კონტრაქტის გაფორმება წარმატებისათვის საკმარისი არ არის. "სოლტ ლეიკ სიტისთან" ზემოთ ხსენებულ შეხვედრაში იალოპმა ხუთი დებიუტანტი გამოიყვანა, მათ შორის, პორტუგალიელი მცველი **აბელ შავიერი**. მან გასული სეზონი "მიდლსბროში" გაატარა, რივერსაიდელებს ახალ კონტრაქტზე ვერ მოურიგდა და ამერიკას მიაშურა. მომდევნო ტურში "გალაქსი" "ქოლამბუს ქრუს" შეხვდება. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთის კონფერენციის აუტსაიდერია. ასე რომ, გუნდს ზედიზედ მეორე და სეზონის მესამე თამაშის მოგება შეუძლია.

ამერიკელები მოუთმენლად ელიან ბექჰემის ჩასვლას. გალაქტიკომ კი, ამასობაში, ტრავმა მიიღო. როგორც გახსოვთ, "მალიორკასთან" ბოლო ტურში ის 66-ე წუთზე შეცვალეს, იმ დროს, როცა ანგარიში 0:1 იყო, სტუმართა სასარგებლოდ. ბექზმა კოჭი დაიზიანა. ლალასი ამბობს, რომ მისთვის ტრავმის დეტალები არავის გაუმხელია. ეს არც არავის ევალებოდა. ივნისის ბოლომდე დევიდი "რეალის" საკუთრებაა. ბექჰემი ახალ სამსახურს ივლისის შუა რიცხვებში მიაშურებს. ასეთია წინასწარი გეგმა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. ყველაფერი ფეხბურთელის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. 32 წლის ვარსკვლავმა "გალაქსისთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ხნის განმავლობაში ის 250 მილიონ დოლარს მიიღებს.

დასასრულს, კიდევ ერთი კომენტარი, რომელიც ალექსი ლალასმა გააკეთა. მან ის მიმომხილველები გააკრიტიკა, რომლებიც ამერიკულ ლიგას საპენსიოს უწოდებენ. ბექჰემზე კი ამბობენ, რომ მან ოკეანის გაღმა პენსიონერის ცხოვრება აირჩია: *"დარწმუნებული ვარ, ის ექსპერტები, რომლებიც ჩვენს ჩემპიონატს მიმოიხილავენ, MLS-ის ერთი მატჩიც კი არ უნახავთ. იმის თქმა, რომ ბექჰემი ჰოლივუდში მიდის, შეურაცხმყოფელია. ის მოქმედი ფეხბურთელია და საკმაოდ რთულ ლიგაში მოუწევს თამაში. გარწმუნებთ, ევროპის არაერთ ვარსკვლავს გაუჭირდებოდა ამერიკაში წარმატებული კარიერის აწყობა."* ლალასი კონტრშეტევაზეც გადავიდა და ინგლისურ პრემიერლიგას მარკეტინგის წარმატებული პროდუქტი უწოდა, სადაც მდიდრებსა და ღარიბებს ერთმანეთისაგან უფსკრული ჰყოფთ.

## რიკენმა გლადბახი იუარა

**ლარს რიკენს** დორტმუნდის "ბორუსიაში" მომავალი არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ BVB-ს მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** 30 წლის ნახევარმცველს სათადარიგოთა სკამზეც კი აღარ მოიაზრებს და მას მოყვარულთა გუნდში უკრა თავი, 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი ვესტფალიურ კლუბს ვერ ელევა. ამას წინათ გაცნობეთ, რომ რიკენის გადაბირება მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულმა მიონხენგლადბახის "ბორუსიამ" მოისურვა. გუშინ კი გაირკვა, რომ რიკენი "გლადბახს" უარს ეუბნება. *"მეორე ბუნდესლიგაში თამაში არ მსურს. იმედი მაქვს, რომ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდება,"* - აცხადებს რიკენი, არადა, თუ "ბორუსიაში" დარჩება, მოყვარულებთან ერთად სულაც რეგიონალლიგაში მოუწევს თამაში. ლარსი თავის უცნაურ გადაწყვეტილებას ასე ხსნის: *"მირჩევნია "დორტმუნდის" მაისურა მეცვას და რეგიონალლიგაში ვიასპარეზო, ვიდრე "გლადბახის" ძირითადი გუნდის წევრი ვიყო და მეორე ბუნდესლიგაში ვთამაშობდე."* აქვე გეტყვით, რომ 22 ივლისს დორტმუნდში ამხანაგური მატჩია დაგეგმილი: "ვესტფალენშტადიონზე", იმავე "სიგნალ იდუნა პარკზე", "ბორუსია" "რომას" უმასპინძლებს.

## ვან ბომელი ემზადება

"ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲡ" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა **მარკ ვან ბომელმა** პეკინის ოლიმპიადაზე თამაში გადაწყვიტა. როგორც იცით, ჰოლანდიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლით ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ნებისმიერ გუნდს შეუძლია 3 არა 23-წლამდელი ფეხბურთელი დაიმატოს. გაირკვა, რომ ვან ბომელის დამატება ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაც **ფოპე დე ჰაანსაც** სურს. როგოც იცით, ვან ბომელი ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში თამაშზე უარს ამბობს, სანამ ამ გუნდის თავკაცი **მარკო ვან ბასტენი** იქნება. ჰოლანდიასთან ერთად ოლიმპიადის საგზურები ბელგიამ, ინგლისმა და სერბეთმა მოიპოვეს. ხვალ კი, დარჩენილი მეხუთე საგზურისთვის ერთმანეთს იტალიისა და პორტუგალიის ახალგაზრდული გუნდები დაუპირისპირდებიან.

შალკე. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ლინკოლნის ბინძური თამაშები

## ბრაზილიელს გალათასარაიში უნდა, გელზენკირხენელებმა კი მის შემცვლელს ბაზელში მიაგნეს...



ლინკოლნი

ᲐᲒᲔᲠ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც "შალკეს" მენეჯერ **ანდრეას მიულერს** ერთი და იგივე ინფორმაცია მისდის: "გალათასარაის" "ხუმარების" 28 წლის ბრაზილიელი ფლეიმეიქერის, **ლინკოლნის** გადაბირება სურს! მაგრამ გასულ უიქ-ენდამდე მიულერისთვის ეს ინფორმაცია სპეკულაცია იყო, რადგან "შალკეს" ბოსს არ სჯეროდა, რომ ლინკოლნი თურქეთში გადასვლას მოისურვებდა. თუნდაც იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინათ გელზენკირხენელებმა თავიანთ ათიანს კონტრაქტის 2011 წლამდე გახანგრძლივება შესთავაზეს. ცხადია, "შალკე" ბრაზილიელს ხელფასის გაზრდასაც დაჰპირდა, თანაც იმდენად, რომ თუ ლინკოლნი ხელშეკრულებას ხელს მოაწერდა, გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ხდებოდა. იმსახურებს თუ არა "შალკეს" ფლეიმეიქერი ამას, ეს უკვე ცალკე სასაუბრო თემაა. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ მიულერმა ლინკოლნს შესანიშნავი პირობები შესთავაზა. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა და თანაც ძალიან სწრაფად.

პარასკევს გელზენკირხენში "გალათასარაის" ხელმძღვანელები ჩავიდნენ და მიულერთან შეხვედრა ითხოვეს: როგორც კი მათი ვიზიტის შესახებ შეიტყო, "შალკეს" ბოსმა მყისვე გადაურეკა ფეხბურთელს და ჰკითხა, გაინტერესებს თუ არა "გალათასარაიო." და როცა მოთამაშისგან დადებითი პასუხი მიიღო, თურქული გრანდის შეფებთან შეხვედრას დათანხმდა. ცოტა არ იყოს, გასაკვირია ის, რომ ლინკოლნი "გალათასარაიში" გადასვლით დაინტერესებულია. თუნდაც იმიტომ, რომ ეს გუნდი მხოლოდ უეფას თასზე იასპარეზებს, "შალკე" კი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, თანაც პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან. გაირკვა, რომ ბრაზილიელმა მიულერს ასეთი მიზეზი უთხრა: *"ვშიშობ, რომ "შალკეში" დარჩენის შემთხვევაში უმძიმესი ზეწოლის ქვეშ მოვექცევი, რადგან ჩემპიონობის დაკარგვა ფაქტობრივად მე დამბრალდა. ამას ის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც ემატება, რომელიც სეზონის ბოლოს არასპორტული საქციელის გამო მივიღე და ვფიქრობ, რომ ფანებისგან ზეწოლა უმძიმესი იქნება."* არადა, რამდენიმე დღის წინათ ლინკოლნმა "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, კარიერის დასრულება "შალკეში" მსურსო. მას მერე მხოლოდ ის შეიცვალა, რომ "გალათასარაის" ბოსები დაუკავშირდნენ და გაცილებით მომხიბლავი, ფეხბურთელის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თითქმის ზღაპრული პირობები შესთავაზეს: 4 მილიონი ევრო წელიწადში. ასეთ ჯამაგირს ბრაზილიელი გამთამაშებელი "შალკეში" ვერასდროს მიიღებდა. შესაბამისად, მიულერმა ფინანსების განმკარგველ **იოზეფ შნუზენბერგთან** ერთად "გალათასარაის" ბოსებთან პირველი მოლაპარაკებები გამართა.

ლინკოლნის გადაბირება თურქული გიგანტის ახალი მწვრთნელის, 73 წლის **კარლ ჰაინც ფელდკამპის** იდეაა. ეს უკანასკნელი არ მალავს, რომ გუნდის აშენება ლინკოლნის გარშემო სურს და რომ მისი გუნდი ბრაზილიელს შესანიშნავ პირობებს სთავაზობს. ფელდკამპი "გალათასარაის" თავკაცის პოსტზე მუშაობას 22 ივნისს იწყებს და მანამდე ტრანსფერი უნდა გაიჩარხოს. *"იმედი მაქვს, რომ ყველაფერი გამოვა. უტოპიურ თანხას კი ნამდვილად არ გადავიხდით,"* - ამბობს ფელდკამპი.

პარასკევს გამართულ მოლაპარაკებებზე თურქებმა მიულერსა და შნუზენბერგს ლინკოლნის სანაცვლოდ 2.5 მილიონი ევრო შესთავაზეს, რაც "შალკეს" შეფებს სასაცილოდაც კი არ ეყოთ. გელზენკირხენული კლუბი ბრაზილიელში 8 მილიონს ითხოვს (მიუხედავად იმისა, რომ 28 წლის მოთამაშეს კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება). *"ლინკოლნთან ერთად, ბოლო სამ წელიწადში, ორჯერ ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშეთ. ჩვენ კარგად ვიცით ამ ფეხბურთელის ფასი. მომავალი სეზონიდანად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ და ამ ტურნირისთვის ბრაზილიელი ძალიან გვჭირდება, მაგრამ იძულებულები ვართ, რომ გავყიდოთ, რადგან თვითონ მოისურვა ასე. ამასთან, თუკი ლინკოლნს ტრანსფერი იმაში სჭირდება, რომ დიდი ფული იშოვოს და კარგი ხელფასი მიიღოს, ჩვენც იძულებულები ვართ, რომ ფულზე ვიფიქროთ - 2.5 მილიონი სასაცილო თანხაა. ეს ჩვენთვის შეურაცხყოფის ტოლფასი იყო,"* - ამბობს მიულერი.

ამბობენ, თუ "გალათასარაი" 5-იდან 6 მილიონამდე გადაიხდის, "შალკე" თანახმა იქნებაო, თუმცა მიულერი სკეპტიკურადაა განწყობილი და პირდაპირ ამბობს, არა მგონია, რომ თურქებმა თუნდაც 5 მილიონი შემოგვთავაზონო. უქმეებზე თურქები ბრაზილიაში გაფრინდნენ, სადაც უკვე თვითონ ფეხბურთელთან უნდა გაემართათ მოლაპარაკებები. თუმცა წინდაწინვე ცხადია, რომ ლინკოლნთან შეთანხმება არ გაუჭირდებოდათ. ამასობაში, ბრაზილიელის შეძენის სურვილი სანკტ პეტერბურგის "ზენიტმაც" გამოთქვა. რუსები 6 მილიონის გადახდაზე უარს არ იტყოდნენ, მით უმეტეს, რომ ამ გუნდის მფლობელი "შალკეს" გენერალური სპონსორი "გაზპრომია", მაგრამ პრობლემა ისაა, რომ "ზენიტს" ლინკოლნთან კონსენსუსისთვის ჯერ არ მიუღწევია. ფაქტი ერთია: თუ ბრაზილიელის "გალათასარაიში" ტრანსფერი ჩაიშალა, მას არც "შალკეში" დაედგომება, რადგან "აუფ შალკეს" პუბლიკა ამ ბინძური თამაშების გამო არ დაინდობს. გელზენკირხენელმა გულშემატკივრებმა ლინკოლნს, რომელიც "შალკეში" 2004 წელს, "კაიზერსლაუტერნიდან" გადავიდა და მას მერე 83 მატჩში 21 გოლი გაიტანა, ისედაც ბევრი რამ აპატიეს.

აქვე გეტყვით, რომ განელი **სტეფან აპიას** "შალკეში" გადასვლა უკვე თითქმის გამორიცხულია. 26 წლის ნახევარმცველი ჯიუტად დიდ ხელფასს ითხოვს, "შალკე" კი ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ აპია გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშედ აქციოს. *"მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგა დიდ ფულს მოგვიტანს და თანაც, ჩვენი სპონსორი უმდიდრესი კომპანია "გაზპრომია", სისულელეებს ვერ ჩავიდენთ - აპია ძალიან დიდ ხელფასს ითხოვს,"* - ამბობს **ლევან კობიაშვილის** გუნდის ბოსი.

ფაქტია, რომ ლინკოლნის წასვლით "შალკე" ძლიერ გამთამაშებელს დაკარგავს. *"მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გუნდი ამ სეზონში მის გარეშეც საკმაოდ კარგად თამაშობდა. გერმანიის ჩემპიონობისთვის ლინკოლნის გარეშეც ვიბრძოლებთ, თანაც, მისი შემცვლელიც შეგულებული გვყავს,"* - ამბობს მიულერი. "კიკერის" ცნობით, "შალკეს" "ბაზელის" შემტევი ნახევარმცველის, **ივან რაკიტიჩის** შეძენა უნდა. ეს უკანასკნელი 19 წლისაა და შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავს. "ხუმარებმა" "ბაზელის" ხელმძღვანელებს მოლაპარაკებების დაწყება უკვე შესთავაზეს. ცნობილია, რომ შვეიცარიელები რაკიტიჩის სანაცვლოდ, რომელიც უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლება, 3 მილიონ ევროს ითხოვენ. აქვე გეტყვით, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა დანიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **ლეონ ანდრეასენსაც** დაადგა თვალი. 24 წლის ანდრეასენი გასული სეზონის მეორე წრეში "ვერდერიდან" "მაინცში" გახლდათ განათხოვრებული და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სეზონის მეორე ნახევარში ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი იყო.

**გოტფრიდ ლენცი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ნიკო ჩერქეზიშვილი

# ნუთშესვენება

## რატომ შეცვალა კობეშავიძემ ჩერქეზიშვილი?

**საქართველოს კადეტთა ნაკრები ამ თვის დასაწყისში საკალათბურთო აკადემიაში შეიკრიბა და ივლისში გასამართი ევროპის ჩამპიონატისთვის მზადებას შეუდგა. პირველივე დღეს მოულოდნელად გაირკვა, რომ მთავარი მწვრთნელი არა ნიკო ჩერქეზიშვილი, არამედ მისი თანაშემწე მიხეილ კობეშავიძე იქნებოდა. შეკრების პირველივე დღეს ბატონმა ნიკომ უარის მიზეზებზე საუბრისგან თავი შეიკავა, გუშინ კი გვესაუბრა.**

- მოდით, სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, შორიდან დავიწყებ. მას შემდეგ, რაც საკალათბურთო კარიერა დავასრულე, მწვრთნელობა დავიწყე. მაშინდელმა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი ქათამაძემ და ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა კადეტთა ნაკრების გაძღოლა მთხოვეს, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. ნიჭიერ თაობასთან მომიწია მუშაობა – ნიკა ცქიტიშვილთან, ზაზა ფაჩულიასთან... ისიც გეხსომებათ, რომ წლების განმავლობაში სტუ-ში ნუგზარ ჭეიშვილის გვერდით ვმუშაობდი, მასთან ერთად საქართველოს ჩემპიონატიც მოვიგე და დადიანის მემორიალიც (გარდაცვლილი მეგობრის სახელობის თასზე თამაში თან ძნელი იყო, თან მეტად საპასუხისმგებლო). გასულ სეზონში კი სტუ-ს მარტოდმარტო ვხელმძღვანელობდი...

ამას ისიც ემატებოდა, რომ ყოველწლიურად ახალგაზრდული ასაკის ნაკრებებთან ერთად ზაფხულს საევროპო მზადებაში ვატარებდი, ამასთან, რკინის ადამიანი ნამდვილად არ ვარ და გადაღლილობამ ერთბაშად იჩინა თავი. ამ ზაფხულს დასვენება გადავწყვიტე და ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანთან შევედი და ვთხოვე, თუ შეიძლება წლეულს დავისვენებ-მეთქი. მან გამიგო და ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა.

**- ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, ზედ ევრო-2007-ის წინ გუნდის გაძღოლაზე უარის თქმა ძნელი იქნებოდა...**

- ყველაზე მეტად მე მსურდა მუშაობის გაგრძელება, მაინტერესებდა, რას ვიზამდით კონტინენტის საუკეთესო გუნდებს შორის, მინდოდა, ჩემი აღზრდილი თორნიკე შენგელია (კახა შენგელიას ვაჟია) ევროასპარეზზე მენახა. თორნიკე 2 მეტრსაა გადაცილებული და ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული გამთამაშებელია, მაგრამ ფიზიკურად მეტი აღარ შემეძლო...

**- თქვენს შემცვლელზე რას იტყვით?**

- მიხეილ კობეშავიძე 1993 წელს დაბადებულთა ნაკრების მწვრთნელია. შარშან ჩემს გვერდით B დივიზიონის ვერცხლისმედალოსანი გახდა. ახალგაზრდა და გამოცდილი მწვრთნელია და კადეტთა ნაკრების თავკაცის თანამდებობა ნამდვილად ეკუთვნოდა. თავის საქმეს კარგად უნდა გაუძლვეს. შეიძლება ისე გამოჩნდა, რომ იგი ბრძოლის ველზე მარტო დავტოვე, მაგრამ მან სწორად გამიგო, ზერელედ საქმის კეთებას თანამდებობის დატოვება ვამჯობინე. უკეთესი იქნება, სხვამ მთელი ძალით იმუშაოს... ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე მიღებული გამოცდილება მიშას სამომავლოდ ძალიან გამოადგება.

**- ნაკრები A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას მოახერხებს?**

- ძალიან გაუჭირდება, რადგან შემადგენლობა მთლიანად გამოუცდელია. როგორც ვიცი, ტრავმირებულია ორი ლიდერი – ნიკა მეტრეველი და გიგი ბარბაქაძე. მათ შარშან შესარჩევ ტურნირში კარგად ითამაშეს და წლეულს ევროპის პირველობაზე გუნდში მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა ჰქონოდათ. მოგეხსენებათ, მეტრეველი იტალიაში თამაშობს, ხოლო ბარბაქაძეს წარმატებული სეზონის შემდეგ უცხოურ კლუბში გადასვლის რამდენიმე ვარიანტი გამოუჩნდა. ბევრი რამე უნდა გადაეწყვიტა გიგის ევროპაზე გამოსვლას...

**- სტუ-ში რა მდგომარეობაა?**

- ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ივლისის შუაში შევხვდები და მაშინ გაირკვევა, ითამაშებს თუ არა უმაღლეს ლიგაში სტუ, და თუ ითამაშებს, რა ძალისა იქნება. როგორც ვიცი, ანალოგიური სიტუაციაა თსუ-ში და თუ ეს ორი გუნდი ჩემპიონატს გამოაკლდა კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით - ჩემპიონატს ოთხი გუნდიღა შერჩება. არადა, ის პატარა უჯრედი, რომელსაც კალათბურთი ჰქვია, ქვეყანაში მიმდინარე გარდამავალი მოვლენების მიუხედავად, მაინც დადებითად მუშაობდა. მას მხოლოდ მცირე ხელის წაკვრა სჭირდება სპონსორებისგან და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა რომ შეგვიძლია, არაერთხელ დაგვიმტკიცებია. მთავარია ჩემპიონატი გვქონდეს მაღალი დონისა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ცქიტიშვილი დენვერში დაბრუნდა



ცქიტიშვილი დენვერშია

ნიკა ცქიტიშვილი ამერიკაში რომ გაემგზავრა, უკვე მოგახსენეთ. ისიც გითხარით - ვარჯიშს "სან ანტონიოში" აპირებსო, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი ოკეანის გაღმა გადაფრინდა, ნიკაზე არაფერი ისმოდა.

გაურკვევლობა გუშინ დენვერის გაზეთმა "როკი მაუნთინმა" დაარღვია:

*"ნიკოლოზ ცქიტიშვილი დენვერს დაუბრუნდა. მან გუშინ "ნაგეტსის" არენა "პეპსი სენთერში" ორსაათიანი ვარჯიში ჩაატარა. ესპანეთიდან ჩამოსულმა ქართველმა ინდივიდუალურად ივარჯიშა, მის "დენვერში" დაბრუნებაზე არავინ არაფერს ამბობს. თვითონ კი აცხადებს, რომ ნაცნობ დარბაზში საზაფხულო ლიგებისთვის ემზადება."*

ამერიკაში წასვლამდე ნიკამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ "სან ანტონიოს" მიწვევით საზაფხულო კემპზე აპირებდა თამაშს.

ეს გუნდი ივლისში ორ ტურნირს ითამაშებს - ლას ვეგასის ლიგასა და "იუტას" მიერ ორგანიზებულ "როკი მოუნთინ რევიუს". პირველი მათგანი ივლისის დასაწყისში გაიმართება, მეორე - 15-დან 20-მდე გასტანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ცქიტო "სან ანტონიოს" მეორე კემპზეც დაეხმარება, საქართველოს ნაკრების შეკრებას თბილისში ვერ ჩამოუსწრებს. ...23 ივლისს ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი იწყება, რომელშიც ჩვენს გარდა მასპინძელთა, მაკედონიისა და დანიის ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას.

ამერიკის კემპისა და სანაკრებო მატჩების თანხვედრის ამბავი ერთიორად საყურადღებო იმიტომაცაა, რომ "სან ანტონიოს" მაისურით საზაფხულო კემპებში სათამაშოდ მეორე ქართველი, **ვიქტორ სანიკიძეც** ემზადება.

დაველოდოთ, ვნახოთ რას იზამენ ვიქტორი და ნიკა ერთად "სან ანტონიოში"...

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# ახალ პრეზიდენტს აირჩევენ

დღეს, 20 ივნისს, 13 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული ფედერაციის ყრილობა, რომელზედაც აირჩევენ ფედერაციის ახალ პრეზიდენტს.

# განცხადება

ა.წ. 23 ივნისს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სეოკის თბილისის ორგანიზაციის, ქ. თბილისის მერიის სპორტის სამსახურის, შპს "კოკა-კოლა"-ს ორგანიზებით ჩატარდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული მძლეოსნური გარბენი.

გარბენში მონაწილეობის მიღება შესაბამისი სამედიცინო ცნობის წარმოდგენით შეუძლია 15 წლის ზევით ასაკის ვაჟებს, მამაკაცებს, გოგონებს და ქალებს.

სტარტი 11 საათზე, მარშრუტი: მეტრო რუსთაველი-თავისუფლების მოედანი.

გარბენის მონაწილეები მიიღებენ მაისურებს. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

მსურველთა განაცხადები მიიღება 23 ივნისამდე ქ. თბილისის მერიის სპორტის სამსახურში. მისამართი: მიცკევიჩის ქუჩა №29ა. ტელ: 39-04-62.

---

ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური სამძიმარს უცხადებს საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს რუსუდან სიხარულიძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

## სპორტული ტანვარჯიში



ილია გიორგაძე

### საქართველოს ჩემპიონატი

# ილიას ოქრო, რუსეთი და გერმანია

გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის კომპლექსში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 30 სპორტსმენი. აქედან, 19 ვაჟი იყო, დანარჩენი - გოგონები. საპრიზო ადგილები გათამაშდა ვაჟთა ხუთ და ქალთა ოთხ თანრიგში.

მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, უმაღლეს, ანუ ოსტატობის პროგრამაში, იასპარეზა ჩვენმა საუკეთესო ტანმოვარჯიშე **ილია გიორგაძემ**. იგი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება და საქართველოს ჩემპიონატი ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად გამოიყენა. რასაკვირველია, მან უპრობლემოდ გაიმარჯვა. მეორე ადგილი **პაატა ნოზაძეს** ერგო. მონაწილეთა სიმცირის გამო, მესამე ადგილი არ გათამაშებულა. აღსანიშნავია, რომ ამავე დისციპლინაში ტრავმის გამო ვერ იასპარეზა **ვასილ საბანაძემ**.

მხოლოდ ორი ტანმოვარჯიშე მოგროვდა ოსტატობის კანდიდატობის პროგრამაშიც. ასაკობრივი ცენზის გამო, აქ მეტი სპორტსმენი არ დაუშვეს. ჩემპიონი გახდა **მურმან მაღრაძე**, რომელმაც **მიხეილ ხარაბაძეს** აჯობა.

უფროსთა პირველ თანრიგში, თანაბარი ქულებით პირვე-მეორე ადგილები გაიყვეს **თემურ უთმელიძემ** და **თორნიკე ბობოხიძემ**. ბრინჯაოს მედალი კი მიხეილ **გაბუნიას ერგო**. ჩემპიონობა გაიყო მეორე თანრიგშიც – **თემურ სონღულაშვილსა** და **გიორგი ძიძიკაშვილს** შორის. **ტრისტან გაბუნია** მესამე იყო.

მოზარდთა პირველ თანრიგში ჩემპიონობა იზეიმა **მიხეილ ედიშერაშვილმა**, ვერცხლის მედალს დაეუფლა **საბა აბესაძე**, ხოლო **გიორგი ხომტარიამ** და **თემურ ხარაიშვილმა** თანაბარი მაჩვენებლების გამო, მესამე ადგილი გაიყვეს. აღსანიშნავია, რომ ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურეს - ოთხივეს დიდი პერსპექტივა უწინასწარმეტყველეს.

გადავიდეთ გოგონებზე. აქ საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა ოსტატობის პროგრამა. პირველი დღის შემდეგ, ლიდერობდა **მარიამ თუთბერიძე**, რომელიც ბელგრადის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება. თუმცა იგი კონკურენტებს მინიმალური სხვაობით უსწრებდა. დასკვნით დღეს, თუთბერიძემ გართულებულ პროგრამაში შეცდომები დაუშვა და ჩემპიონობის ნაცვლად, მესამე ადგილზე დაამთავრა შეჯიბრება. მას **ქრისტინე შველთიძემ** და **ქეთევან ბოლქვაძემ** აჯობეს მცირე სხვაობით - ამ ორმა თანაბარი ქულები დააგროვა და პირველ-მეორე ადგილები გაიყო.

ოსტატობის კანდიდატობაში, ჩემპიონი გახდა **ნატალია ძიძიგური**. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, დაიკავეს **ანი პატარქალიშვილმა** და **მარიამ ზირაქაძემ**.

უფროსთა მესამე თანრიგში **ნინო მახვილაძემ** აჯობა **მარიამ მწითურს** (მესამე ადგილი არ გათამაშდა).

მოზარდთა მესამე თანრიგში პირველობა არავის დაუთმო **მაგდა რობაქიძემ**, მეორე პოზიცია დაიკავა **მარგარიტა მღებრიშვილმა**, ხოლო **მარიამ ხმიადაშვილი** ბრინჯაოს მედალოსანი გახდა.

**საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, კმაყოფილი ჩანდა ნაკრების მწვრთნელი ბესიკ გამსახურდია:**

- უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, რომელმაც ეროვნული ჩემპიონატი დაგვიფინანსა და საშუალება მოგვცა, მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა შეჯიბრება. ჩემპიონატით კმაყოფილი ვარ. შევამოწმეთ ფავორიტების მზადყოფნა, გამოჩნდნენ ახალი, პერსპექტიული სახეებიც, ჩემპიონ-პრიზიორებს გადავეცით მედლები, სიგელები და ფასიანი პრიზები. მიუხედავად იმისა, რომ დროში შეზღუდულები ვიყავით და თანაც, ზაფხულში სპორტსმენთა უმეტესობა ქალაქგარეთაა ხოლმე, მაინც მოვახერხეთ, რომ ყველა უძლიერესი სპორტსმენისთვის მოგვეყარა თავი. მოკლედ, ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, სპორტული ტანვარჯიში წინ მიდის.

აქვე ერთ სიახლესაც გაგიმხელთ. საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოგვიყო ფინანსები ილია გიორგაძის მაქსიმალურად კარგად მოსამზადებლად. 1-9 სექტემბერს, გერმანიის ქალაქ შტუტგარტში, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება, სადაც დიდი იმედი გვაქვს, რომ გიორგაძე ლიცენზიას მოიპოვებს. რაკიღა საქართველოში სათანადო პირობები არ არის, ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით, იგი ივლისის დასაწყისში რუსეთში გაემგზავრება, სადაც იქაურ წამყვან ტანმოვარჯიშეებთან ერთად 25 აგვისტომდე მოემზადება. აქ აღსანიშნავია რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციის კეთილი ნებაც, რომელიც ამ ხნის განმავლობაში, უსასყიდლოდ ავარჯიშებს ილიას რუსეთის ეროვნულ ნაკრებთან ერთად.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, იქ პეკინის საგზურის მოპოვება ყველაზე მეტად გვეიმედება მრავალჭიდში, სადაც ფინალში გასვლა, ანუ 25 საუკეთესოს შორის მოხვედრა გვჭირდება.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

**რაგბი** | საქართველოს ჩემპიონატი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ლელოს ლელოები

**ლელო-არმაზი 38:10**

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა (ქიზიყურაშვილი 72), მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე, თოფურია; (1-8) სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, სხილაძე (ი.დაუშვილი 56), ჩიტიძე, მაისურაძე (იორდანაშვილი 67), მძინარიშვილი, ჯამრულიძე (კობეშავიძე 72), ახალაია - 5ლ *(ჯამრულიძე, ხმალაძე 2, თოდუა, ყიასაშვილი)*, 5გ, ს *(ყიასაშვილი)*

არმაზი: (15-9) ჩხაიძე, ხინთიბიძე, კაიფაჯიანი (მაჭარაძე 65), ძნელაძე, მინაშვილი, ბექა ურჯუკაშვილი, მჟავანაძე; (1-8) ლამბაშიძე (ლუკავა 64), სოსელია, ქართველიშვილი, ჯიშკარიანი, მელიქიძე, კანდელაკი, პინიაშვილი, ცირეკიძე - 2ლ *(კანდელაკი, მჟავანაძე)*

მსაჯი: უ. ნარიმანიძე

პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრა "ლელოსა" და "არმაზს" შორის მძიმედ დაიწყო, თუმცა მოგვიანებით, პირველი ტაიმის მიწურულისკენ "ლელომ" თამაშს მიაგნო და საბოლოოდ კიდევ ერთი დიდი ანგარიშით გამარჯვება მოიპოვა - 38:10.

ლელოელებმა ანგარიში მე-16 წუთზე გახსნეს. საჯარიმოდან **ირაკლი ყიასაშვილმა** გაიტანა 3:0, მანამდე კი სათამაშო უპირატესობა "არმაზის" მხარეს იყო. მათ შერკინებაში მეტოქეს რამდენჯერმე აართვეს ბურთი, თუმცა სტატიკურ მდგომარეობაში მიღწეული უპირატესობა, დინამიკაში ვერაფრით აისახა. "ლელო" თავს წარმატებით იცავდა და მოძალებულ მოწინააღმდეგეს ქულების მოპოვების შანსს არ აძლევდა.

ნელ-ნელა თამაში გათანაბრდა. კვანძი ტაიმის ბოლო სამ წუთში გაიხსნა. როცა "ლელომ" ზედიზედ ორი ერთმანეთზე ლამაზი ლელო გაიტანა. 37-ე წუთზე მოედნის ცენტრიდან 9 ნომერმა **ბექა თოფურიამ** ბურთი ფეხით გადაიკიდა და თვითონვე დაიჭირა. მას თანაგუნდელებიც წამოეშველნენ, მოლი შეკრეს და წინ დაიძრნენ. ოცდაორმეტრიან ხაზთან თოფურიამ ბურთი მეორეხაზელ **ვახტანგ მაისურაძეს** გაუტანა, ამან ხაზი გაჭრა და მესამეხაზელ **ედიშერ ჯამრულიძეს** აუგდო, რომელსაც ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია - 10:0.

ორ წუთში თითქმის 70-მეტრიანი რეიდი "ლელოს" ფულბეკმა ირაკლი ყიასაშვილმა მოაწყო. მან კიდეზე სირბილით მოწინააღმდეგის ლელოდან ათ მეტრში მიაღწია, სადაც არმაზელებმა გაჭირვებით შებოჭეს. ბოჭვისას ყიასაშვილმა მოასწრო და ბურთი ჯამრულიძეს აუგდო, ამან უფრო მარცხნივ **ლაშა ხმალაძეს** გადააწოდა. ყიასაშვილმა ესეც გარდასახა - 17:0.

42-ე წუთზე ლელოს მორკინალებმა რამდენიმე დარტყმით მოედნის ცენტრამდე მიაღწიეს, მერე მარჯვნივ შუამარბ **ალექსანდრე თოდუას** გაუტანეს ბურთი, მან კი თავისი სპრინტერული თვისებები სრულად გამოავლინა და ცენტრიდან არმაზელთა ლელომდე ისე ირბინა ხელითაც ვერავინ წაეპოტინა. ყიასაშვილმა გარდასახა 24:0. სამ წუთში თითქმის ანალოგიური რეიდი მოწინააღმდეგის ზურგში ლაშა ხმალაძემ განახორციელა. ყიასაშვილი ამჯერადაც ზუსტი იყო - 31:0.

თამაშის დასრულებამდე "არმაზმა" ორი ლელოს გატანა მოახერხა, თუმცა შუალედში კიდევ ერთი გაუშვა - 10:38.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | 157:61 | 6 |
| 2.ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 99:38 | 6 |
| 3.ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | 86:70 | 6 |
| 4.დინამო | 4 | 1 | 0 | 3 | 55:85 | 2 |
| 5.არმაზი | 5 | 1 | 0 | 4 | 94:140 | 2 |
| 6.უნივერსიტეტი | 4 | 1 | 0 | 3 | 50:118 | 2 |

**დღეს**

17:00 **უნივერსიტეტი-ყოჩები** ვაკე
19:00 **ლოკომოტივი-დინამო** ვაკე

ლეგიონერები

## სამნი ახალ კლუბში

საფრანგეთში სატრანსფერო სეზონი დასასრულს უახლოვდება. ახლახანს ახალ კლუბთან ხელშეკრულება სამმა ქართველმა მორაგბემ გააფორმა. პირველი დივიზიონის "ბურგუენში" მოთამაშე საქართველოს ნაკრების შუამარბმა **ირაკლი გიორგაძემ** ორი წლით თავისი სარაგბო კარიერა "დაქსს" დაუკავშირა. ეს გუნდი გასულ სეზონში მეორე დივიზიონში ასპარეზობდა და ელტარულ, პირველ დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა მორაგბემ, გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** "ბეზიედან" ასევე მეორედივიზიონურ "მონ დე მარსანს" მიაშურა. "კასტრიდან" მეორე დივიზიონის "ტარბში" გადაბარგდა ბურჯი **იგორ ბარბაქაძე**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**მეკლდეურობა**

## მამაცი მესტიელები

ჭიათურის მახლობლად, კაცხის სვეტის მიმდებარე კლდეებზე კვლავ გამოჩნდნენ მეკლდეურები - ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული პირველობა, რომელიც მესტიის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის სრული ტრიუმფით დასრულდა. პირველობა სამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა ვაჟებსა და გოგონებს შორის. **ავლან ნავერიანის** აღსაზრდელებმა ოქროს - 6, ვერცხლისა და ბრინჯაოს 2-2 მედალი დაიმსახურეს. რა თქმა უნდა, გუნდური პირველი ადგილი და საპატიო თასიც დიდი უპირატესობით მათ მოიგეს.

გუნდურ პირველობაში მეორე ადგილი სტეფანწმინდის ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელი **კობა კობაიძე**) დაიკავა, რაც დიდი წარმატებაა, მათ ოქროს - 3 და ბრინჯაოს - 2 მედალი ხვდათ წილად. მესამე პრიზიორი გახდა ლენტეხის მოსწავლეთა ნაკრები (მწვრთნელი **ალიოშა გაზდელიანი**). მათ ყულაბაში ოქროს - 1, ვერცხლის - 4 და ბრინჯაოს ამდენივე მედალია. შემდეგ ადგილზე მოდიან: 4. თბილისის I გუნდი, 5. ბათუმი, 6. ქუთაისი, მე-7, მე-8 და მე-9 ადგილებზე შესაბამისად გავიდა თბილისის II, III და IV გუნდი.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს ასაკების მიხედვით.

**ლადო გურჩიანი**

**სნრაფი ცოცვა**

**ვაჟები**

**უფროსი ასაკი (1989-90)**
1. ვანო კობაიძე (სტეფანწმინდა)
2. კობა ფერაძე (ბათუმი)
3. კახი ლიპარტელიანი (ლენტეხი)

**საშუალო ასაკი (1991-92)**
1. ბექა ნავერიანი (მესტია)
2. გიორგი მუსელიანი (ლენტეხი)
3. გიორგი გოდერძიშვილი (სტეფანწმინდა)

**უმცროსი ასაკი (1993-94)**
1. გიორგი გაბულდანი (თბილისი I)
2. გუგა ვეზდენი (თბილისი I)
3. ნიკო აქიაშვილი (სტეფანწმინდა)

**გოგონები**

**უფროსი ასაკი (1989-90)**
1. ქეთინო გულბანი (მესტია)
2. ნათია უთრუგაშვილი (თბილისი I)
3. მელანო გუჯეჯიანი (მესტია)

**საშუალო ასაკი (1991-02)**
1. მარინა იოსელიანი (მესტია)
2. მარინა გუჯეჯიანი (მესტია)
3. დუდუშა ლიპარტელიანი (ლენტეხი)

**უმცროსი ასაკი (1993-94)**
1. სალომე მეშველიანი (ლენტეხი)
2. თამარ ლომიძე (ბათუმი)
3. სალომე ცინცაძე (ბათუმი)

**როული ცოცვა**

**ვაჟები**

**უფროსი ასაკი (1989-90)**
1. ვანო კობაიძე (სტეფანწმინდა)
2. კახი ლიპარტელიანი (ლენტეხი)
3. შალვა ციბაძე (ქუთაისი)

**საშუალო ასაკი (1991-92)**
1. ბექა ნავერიანი (მესტია)
2. გიორგი მუსელიანი (ლენტეხი)
3. მირზა ქურასბედიანი (ლენტეხი)

**უმცროსი ასაკი (1993-94)**
1. ნიკო აქიაშვილი (სტეფანწმინდა)
2. გუგა ვეზდენი (თბილისი I)
3. გიორგი მჟავია (ქუთაისი)

**გოგონები**

**უფროსი ასაკი (1989-90)**
1. ქეთინო გულბანი (მესტია)
2. ნათია უთრუგაშვილი (თბილისი I)
3. მელანო გუჯეჯიანი (მესტია)

**საშუალო ასაკი (1991-92)**
1. მარინა გუჯეჯიანი (მესტია)
2. მარინა იოსელიანი (მესტია)
3. დუდუშა ლიპარტელიანი (ლენტეხი)

**უმცროსი ასაკი (1993-94)**
1. სალომე ცინცაძე (ბათუმი)
2. სალომე მეშველიანი (ლენტეხი)
3. თამარ ლომიძე (ბათუმი)

**ჭადრაკი**

## ლას ვეგასში რას მოიგებ...

ქართველი მოჭადრაკე **მერაბ გაგუნაშვილი** ეწვია ყველაზე ცნობილ სამორინე ქალაქს და საჭადრაკო ტურნირში ჩაება. ორიოდ კვირით ადრე მერაბმა, **ზვიად იზორიასთან,** ერთად კალიფორნიის ტურნირზე ითამაშა და საკმაოდ წარმატებულად - მესამე-მეოთხე ადგილზე გავიდნენ ქართველები. ლას ვეგასში იზორია არ ჩავიდა, როგორც ჩანს, მარტოდ დარჩენილმა ქართველმა თავი კომფორტულად ვერ იგრძნო და შედარებით სუსტი შედეგი აჩვენა: 6 ტურად ჩატარებულ ტურნირში 4 ქულა დააგროვა და მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა.

ჩემპიონი ამერიკელი **ჰიკარუ ნაკამურა** გახდა 5,5 ქულით. მეორე ადგილზე უბერებელი **ვიქტორ კორჩნოია** 5 ქულით. ამდენივე დააგროვა **ენრიკო სევილიანომ**, მაგრამ კორჩნოის კოეფიციენტით ჩამორჩა.

ტურნირში სხვა ცნობილი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ, თუმცა არცთუ წარმატებულად - **იან ელვესტმა** 3,5 ქულით 25-ე ადგილზე დაასრულა შეჯიბრი... მიუხედავად მეთხუთმეტე ადგილისა ქართველს ფულადი ჯილდო მაინც ერგო, მაგრამ არა იმდენი, რისი ლას ვეგასიდან წამოღების შესაძლებლობაც არსებობს.

მერაბმა ხასიათი ბლიც-ტურნირში გამოიკეთა, სადაც მეორე ადგილი დაიკავა და ბიუჯეტი კიდევ უფრო შეივსო. გაგუნაშვილი ჯერაც რჩება ამერიკაში და დაუზუსტებელი ინფორმაციით ერთ ტურნირშიც ითამაშებს. სავარაუდოდ, მას ზვად იზორიაც შეუერთდება.

**ზვიად შათირიშვილი**

**ჩოგბურთი**



ოქსანა კალაშნიკოვა

## მორიგი ნინსვლა

გუშინ 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. გოგონათა მსოფლიო კლასიფიკაციაში სამი საფეხურით წაიწია წინ **ოქსანა კალაშნიკოვამ**, რომელმაც გერმანიაში პირველი კატეგორიის ტურნირის ნახევარფინალში გააღწია, წყვილებში კი ტიტული მოიგო. ოქსანა კალაშნიკოვა 602 ქულით მსოფლიოს 22-ე ჩოგანია, ეს მისი კარიერის მიღწევაა.

ახალგაზრდების რეიტინგი ასეთი პრინციპით დგინდება - ჩოგბურთელს ერიცხება ახალგაზრდულ ასპარეზზე ნაჩვენები ათი საუკეთესო მიღწევის ქულები (5-5 ერთეულებში და წყვილებში), თუმცა წყვილთა შორის მოპოვებული ქულები დაჯამებამდე ოთხზე იყოფა. ასე რომ, ჩვენებურს 520 ქულა ერთეულებში აქვს მოპოვებული და 82 (გაყოფის შემდეგ) წყვილებში. ოფენბახში ნახევარფინალში გასვლამ ოქსანას 80 ქულა მოუტანა, რამაც "ორანჯ ბოულის" შარშანდელი 50 ჩაანაცვლა. დღეისათვის ერთეულთა თანრიგში კალაშნიკოვას მეხუთე შედეგი "ასტრიდ ბოულზე" მოპოვებული 60 ქულაა, ანუ ერთეულთა შორის რეიტინგის გასაუმჯობესებლად მან 60 ბალზე მეტი უნდა მოიპოვოს. ქართველს უფრო იოლად წყვილებში შეუძლია მატება. იქ მისი მეხუთე საუკეთესო შედეგი 20 ქულაა, რომლის გაუმჯობესება პირველი კატეგორიის ტურნირის ერთი წრის დაძლევითაც შეუძლია.

რეიტინგ-ლისტში კიდევ ხუთი ქართველი გოგონაა. **ანა ტატიშვილს** წლევანდელი უიმბლდონის შემდეგ ის 30 ქულაც გამოაკლდება და რეიტინგიდან ამოვარდება, თუმცა ამაში საგანაგაშო არაფერია - რა ხანია, ანა დიდების ტურნირებში თამაშობს. **ეკა გორგოძე** 25 ქულით 941-ე ჩოგანია, **სოფიკო შარანგია,** ოქსანას უფროსი და **მარია კალაშნიკოვა** და **ანა ჯიქია** ათასეულს მიღმა არიან.

ბიჭებში საუკეთესო ორმოცდაათეულიდან გავარდა და 73-ე პოზიციამდე დაიხია ლაზარე **კუხალაშვილმა** (337 ქულა). **გიორგი ჭანტურია** 393-ეა, ხოლო **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 655-ე. 758-ე პოზიციაზეა **რევაზ ოსაძე**. ათასეულს მიღმა არიან **გიორგი ხმიადაშვილი** და **დემეტრე თაქთაქიშვილი**.

## დებიუტი უიმბლდონზე

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** კარიერაში პირველად მონაწილეობდა უიმბლდონის ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი წლეულს 11 მილიონი ფუნტი სტერლინგია. მსოფლიოს 147-ე ჩოგანი ჩახნაშვილი გუშინ ჩაება შეჯიბრებაში, ნომერ მეხუთე კორტზე მაკა არგენტინელ **პაოლა სუარესს** შეხვდა. სუარესი (160) სამი წლის წინათ მსოფლიოს მეცხრე ჩოგანი იყო, თუმცა 31 წლის ჩოგბურთელი ახლა მხოლოდ წყვილთა თანრიგში თამაშობს წარმატებით. სამწუხაროდ, გუშინ ჩახნაშვილის დასამარცხებლად სუარესს გამოცდილებაც ეყო, მან განსაკუთრეიბით პირველი სეტი მოიგო იოლად, მეორეში ჩახნაშვილმა ბრძოლა სცადა, თუმცა საბოლოოდ ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით დათმო - 3:6, 3:6 და ერთეულთა თანრიგს დაემშვიდობა.



მაკა ჩახნაშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ევროპულ სარტყელს ვერ შესწვდა

**პროფესიული კრივი.** 16 ივნისს, საფრანგეთის ქალაქ სენტ ეტიენში, WBA (EBA)-ს ვერსიით პროფესიონალ მოკრივეთა სატიტულო მატჩი გაიმართა. ევროპის ტიტულისთვის ზემსუბუქ წონაში (66,7 კგ.) ფრანგი **შუქრი იენტური** ქართველ **გიორგი უნგიაძეს** ხვდებოდა. იენტურმა წარმატებით დაიცვა ტიტული, თუმცა ამისთვის 12-რაუნდიანი ბრძოლა გადაიტანა. სამივე მსაჯმა მასპინძელს მიანიჭა უპირატესობა (120-109, 119-109, 117-111). გიორგი უნგიაძე 23 წლისაა, პროფესიონალებში მან 16 შეხვედრა გამართა და აქედან 12 მოიგო (4 ნოკაუტით) და ოთხი წააგო.

**თარიღი**

**გიორგი ვარძელაშვილი.** 20.06.1916, თბილისი - 10.03.1988, კასპი. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი გივი კარტოზია. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.**

NHL ფილადელფია

# ფლაიერზი აფრენას აპირებს



დანიელ ბრიერი

გასული რეგულარული ჩემპიონატის მთავარი აუტსაიდერი - "ფილადელფია ფლაიერზი" მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს.

კლუბმა უკვე განახორციელა ორი ხმაურიანი ტრანსფერი: "ნეშვილ პრედატორზიდან" გადაიბირა მცველი **კიმო ტიმონენი** და ფორვარდი **სკოტ ჰარტნელი**. ეს ჰოკეისტები 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტები ხდებიან.

ორივე მოთამაშე "ფილადელფიასთან" 6-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ტიმონენი ამ ექვსი სეზონის განმავლობაში 37.8 მილიონ დოლარს მიიღებს, ჰარტნელი - 25.2 მილიონს.

გასულ სეზონში, ფინელმა 13 გოლი გაიტანა და 42 შედეგიანი პასი გააკეთა. ჰარტნელის ანალოგიური მაჩვენებლები იყო - 22 გოლი და 17 საგოლე გადაცემა.

"მფრინავები" მხოლოდ ამ ორი ტრანსფერით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. კლუბის ხელმძღვანელობა "ბაფალო სეიბრზიდან" **ტომას ვანეკის** დამატებას გეგმავს. ეს ჩეხი ჰოკეისტი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდა.

*"ჩვენ ყველა გზას ვეძებთ იმისთვის, რომ შემადგენლობა გავაძლიეროთ. ვანეკი კი, შედეგიანობის ასამაღლებლად შესანიშნავი ვარიანტია"*, - აცხადებს "ფლაიერზის" გენერალური მენეჯერი - **პოლ ჰოლმგრენი**.

"ფილადელფია" მზად არის, ჩეხს წლიური 4 მილიონი დოლარი შესთავაზოს. გასულ სეზონში, ეს ფორვარდი მეხუთე იყო ლიგაში გატანილი გოლების რაოდენობით - 43 შაიბა. ვანეკი ცოტა ხნის წინათ, რეგულარული ჩემპიონატის მეორე სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

კიდევ ერთი ვარსკვლავი, რომლის გადაბირებითაც "ფილადელფია" არის დაინტერესებული, ასევე "ბაფალოში" თამაშობს. ეს არის **დანიელ ბრიერი**, რომელმაც გასულ სეზონში 95 ქულა დააგროვა.

მართალია, ამ ფორვარდმა უკვე განაცხადა, რომ თავის ამჟამინდელ კლუბში სურს დარჩენა, მაგრამ ფილადელფიელები მისი შეძენის იმედს არ კარგავენ. ამ სეზონში ბრიერმა ხელფასის სახით 5 მილიონი დოლარი მიიღო და ახლა ვარაუდობს, რომ მისი წლიური შემოსავალი ერთნახევარჯერ გაიზრდება.

## შემთხვევა

# სიკვდილთან ახლოს



ბრუკ ჰანსონი

ორი დღის წინათ, ავსტრალიის ქალაქ მელბურნის საცურაო კომპლექსში სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში **ბრუკ ჰანსონი**.

როგორც ავსტრალიელი სპორტსმენის მამა **იან ჰანსონი** აცხადებს, მისი ქალიშვილი საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობდა და ფოტოკამერების წინ პოზირებდა, როცა ის უძლიერესმა ელექტრონულმა მუხტმა გააშეშა. უფროსი ჰანსონის სიტყვებით, მომხდარის მიზეზი ჯერ დაუდგენელია, თუმცა ცნობილია ის, რომ აუზში პარალელურად წყლის ძლიერი ნაკადის ხელოვნურად შექმნის დემონსტრირებას ახდენდნენ. ეს ახალი მეთოდი ვარჯიშებზე ფიზიკური დატვირთვის გაზრდას ემსახურება.

*"ჩვენმა ოჯახმა ნამდვილი შოკი განიცადა. იმედი გვაქვს, რომ ეს კოშმარი ბრუკის ჯანმრთელობაზე არ იმოქმედებს და ის სულ მალე განაახლებს ვარჯიშს"*, - აცხადებს იან ჰანსონი.

დაზარალებული უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან, თუმცა, ექიმებმა მას რამდენიმე დღე წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. ამასობაში, კომპანია "ენერჯი სეიფი", რომელიც ამ ინციდენტზეა პასუხისმგებელი, დეტალურ გამოძიებასა და მომხდარის მიზეზების დადგენას აპირებს.

## ჩოგბურთი

### ტურნირები

**ATP**

**ნოტინგემის ლია**

ნოტინგემი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 323 050 ევრო

**I წრე**

**სებასტიან გროსჟანი (საფ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ, 5) 6:3, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ)**-ანდრეი პაველი (რუმ) 6:2, 4:6, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 1)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:3, 6:4.

**Ordina Open**

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**I წრე**

**ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 2)**-გაელ მონფილსი (საფ) 3:6, 6:3, 6:0; **პიტერ ვესელსი (ჰოლ)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:4, 6:3; **ანტონი დუპუი (საფ)**-ტიემო დე ბეკერი (ჰოლ) 7:5, 7:6(1); **ანდრეას სეპი (იტა)**-ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:4, 6:4; **კრისტოფ ვილეგენი (ბელ)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 1:1 სანტოროს უარი.

**WTA**

**International Women's Open**

ისტბურნი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

**ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 5)**-სამანტა სტოსური (ავსტრა) 3:6, 6:4, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 7:6(0), 7:6(5); **მალენი საუთი (ბრიტ)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 1:6, 6:3, 7:6(3).

**Ordina Open**

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

**ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 5:7, 6:2, 6:2; **ტატიანა მალეკი (გერ)**-კატარინა სტერბონიკი (სლოვენ, 6) 6:3, 6:2; **ელენა ვესნინა (რუს)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 7) 7:6 (4), 3:6, 6:3; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 8)**-ანარჩა რუსი (ჰოლ) 6:1, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა)**-კარინ კნაპი (იტა) 3:6, 7:6 (6), 6:2; **ელენი დანილიდუ (საბ)**-სევერინ ბრემონი (საფ) 4:6, 6:1, 6:2; **მეგან შონესი (აშშ)**-ქსენია ლიკინი (რუს) 6:2, 6:1; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-სანია მირზა (ინდ) 3:6, 6:4, 6:4.**რობერტა ვინჩი (იტა)**-ელენა ბოვინა (რუს) 6:0, 6:4.

### რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5225 |
| 3(5). ენდი როდიკი (აშშ) | 3055 |
| 4(3). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3040 |
| 5(4). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3010 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2780 |
| 7(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2200 |
| 8(9). ენდი მარეი (ბრიტ) | 2085 |
| 9(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2075 |
| 10(10). ტომი ჰაასი (გერ) | 1960 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 746 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 601 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 471 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 295 |
| 5(6). ენდი როდიკი (აშშ) | 279 |
| 6(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 278 |
| 7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 233 |
| 8(8). ტომი რობრედო (ესპ) | 226 |
| 9(9). გილერმო კანიასი (არგ) | 223 |
| 10(10). მიხაილ იუჟნი (რუს) | 219 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 3 297 545 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 660 645 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 575 055 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 903 730 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 835 220 |
| 6. მიხაილ იუჟნი (რუს) | 671 495 |
| 7. გილერმო კანიასი (არგ) | 660 595 |
| 8. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 650 130 |
| 9. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 608 035 |
| 10. ენდი როდიკი (აშშ) | 597 720 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 4419 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3852 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3185 |
| 4(4). ამელი მორესმო (საფ) | 2795 |
| 5(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2790 |
| 6(6). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2544 |
| 7(7). სერენა უილიამსი (აშშ) | 2130 |
| 8(8). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2078 |
| 9(9). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1817 |
| 10(13). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1773 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2750 |
| 2. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 2520 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1946 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1911 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1891 |
| 6. მარია შარაპოვა (რუს) | 1645 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1265 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1258 |
| 9. დინარა საფინა (რუს) | 1211 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1101 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 2 119 957 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 625 948 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 120 302 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 046 150 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 913 576 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 858 851 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 667 162 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 539 646 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 522 142 |
| 10. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 495 814 |

## TV სპორტი

**20 ივნისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლიუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. პორტუ-რეალი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-ჩელსი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. შტუტგარტი-მანჩესტერ იუნ.
17:55 პირდაპირი ხაზი.
18:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. 1/2 ფინალი. ჰოლანდია (LIVE).
22:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. 1/2 ფინალი. ჰოლანდია (LIVE).
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:55 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ინტერი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
08:43 სპორტკლუბი.
08:58 სპორტინფორმი.
09:08 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:59 სპორტინფორმი.
10:09 მხატვრული ტანვარჯიში.
10:24 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
12:07 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
14:08 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰალე. გერმანია.
15:39 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
16:09 ფეხბურთი. Barca TV. ჩავი.
17:00 აფროსნობა. ამერიკის თასი.
17:30 ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო.
19:30 სპორტინფორმი.
19:45 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი.
21:30 სპორტინფორმი.
21:40 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰალე. გერმანია.
23:40 სპორტინფორმი.
23:51 ფეხბურთი. Barca TV. ჩავი.
00:41 სპორტინფორმი.
00:54 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
02:56 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
04:43 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
05:14 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-კუბა. სერბეთი.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. არგენტინა-პოლონეთი. არგენტინა.
13:00 სპიდვეი. დანიის გრან-პრი.
14:00 მულტისპორტი.
14:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
22:00 სნუკერი.
23:00 სუმო.
01:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
01:30 მულტისპორტი.
03:00 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი.
13:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. II მატჩი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰერტოგენბოში. ბრიტანეთი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-კუბა. სერბეთი.
16:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. არგენტინა-პოლონეთი. არგენტინა.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰერტოგენბოში. ბრიტანეთი (LIVE).
19:15 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ჩიკაგო.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა. II მატჩი.
23:30 მულტისპორტი.
00:00 სერფინგი.
01:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| შვედეთი | |
|---|---|
| ჰამარბიუ-იურგორდენი | 2:0 |

| ისლანდია | |
|---|---|
| აკრანესი-ვალური | 2:1 |

**კალათბურთი**

| საბერძნეთი. ფლეი ოფი. მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| არისი-პანიონიოსი | 73:60 |

| ესპანეთი. ფლეი ოფი. ფინალი | |
|---|---|
| რეალი-ბარსელონა | 83:80 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ნოტინგემი | |
|---|---|
| გუდოლი-გაბაშვილი | 5:7, 3:6 |
| დელ პოტრო-ბეკერი | 6:4, 6:2 |
| კარლოვიჩი-ვავრინკა | 6:3, 7:6 |
| კლემანი-ტ. იოჰანსონი | 7:5, 6:2 |
| დელიჩი-გიმელსტობი | 6:4, 6:4 |
| კუნიცინი-კალერი | 7:6, 3:6, 6:4 |
| ლაპენტი-ვაცეკი | 6:7, 3:6 |
| მირნი-ლი | 4:6, 6:4, 4:6 |
| ჰენმანი-რასელი | 6:1, 7:6 |
| მატიო-ჯინეპრი | 6:3, 6:4 |
| ტურსუნოვი-კენდრიკი | 6:1, 6:4 |
| ბიორკმანი-ბლუმფიოდი | 6:2, 6:0 |

| ATP. ჰერტოგენბოში | |
|---|---|
| ბერერი-ჰარტფილდი | 6:3, 6:0 |
| ტიპსარევიჩი-ჟიკელი | 6:4, 6:2 |
| კანიასი-გულბისი | 7:6, 7:5 |
| ბენეტო-ჩელა | 6:4, 6:4 |
| ფერერო-ბერლოკი | 6:2, 3:6, 2:6 |
| კოლშრაიბერი-როიტმანი | 2:6, 0:6 |
| რობრედო-კონინგი | 6:4, 7:6 |
| ბაღდატისი-პლესი | გადაიდო |

| WTA. ისტბურნი | |
|---|---|
| ბალტაჩა-კეიტავონგი | 6:2, 2:6, 7:6 |
| ნაკამურა-რეზაი | 6:1, 6:4 |
| პეერი-ლიხოვცევა | 6:2, 5:7, 6:4 |
| ბამერი-კირილენკო | 6:2, 6:3 |
| ბარტოლი-გარბინი | 6:2, 6:3 |
| დეში-მორიგამი | 6:4, 2:6, 6:3 |
| ო'ბრაიენი-ბარდინა | 7:5, 6:3 |
| რადვანსკა-კრეიბასი | 6:2, 5:7, 6:0 |
| სანტანჯელო-სუგიამა | 7:6, 6:3 |

| WTA. ჰერტოგენბოში | |
|---|---|
| საფინა-პინი | 6:3, 5:7, 6:3 |
| ჩანი-კერბერი | 6:3, 3:6, 4:6 |
| ჰანტუხოვა-პუჩკოვა | 6:2, 6:1 |
| ა. ბონდარენკო-ვინჩი | 7:6, 6:3 |
| ტუ-კანეპი | 5:7, 6:2, 7:5 |
| ივანოვიჩი-დანილიდუ | 7:6, 6:2 |
| პენეტა-მალეკი | 6:0, 6:4 |
| ჩაკვეტაძე-სკიავონე | 6:4, 7:6 |

მძლეოსნობა

### ჯიბილისკო დოპინგზე გამოიჭირეს?

ჭოკით ხტომაში ათენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, იტალიელი **ჯუზეპე ჯიბილისკო** აკრძალული პრეპარატის მიღებაშია ეჭვმიტანილი.

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი საკუთარ ოფისში დასაკითხად გამოიძახა. ეს შეხვედრა 26 ივნისს შედგება და სწორედ იქ გაირკვევა, გამოიყენა თუ არა ამ მძლეოსანმა დოპინგი.

ჩოგბურთი

### უიმბლდონი ზვონარევას გარეშე

რუსმა ჩოგბურთელმა - **ვერა ზვონარევამ** უარი განაცხადა უიმბლდონში მონაწილეობაზე.

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, ზვონარევას მარცხენა მაჯის ტრავმა აწუხებს და ამის გამო ვერ ითამაშებს "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირზე.

რუს ჩოგბურთელს ძირითად ბადეში კანადელი - **ალექსანდრა ვოზნიაკი** შეცვლის.

ოლიმპიზმი

### ევერესტზე თანამედროვე ტრასა აშენდება

ჩინეთის მთავრობა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალთან - ევერესტთან მისასვლელი ტრასის აგებას გეგმავს. როგორც ცნობილია, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ესტაფეტის ერთ-ერთი ეტაპი სწორედ ამ მთის უმაღლეს წერტილზე გაივლის.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ეს პროექტი 20 მილიონი დოლარი დაჯდება. ჩანაფიქრის მიხედვით, 5200 მეტრზე მდებარე საბაზო ბანაკამდე მისასვლელი ქვა-ღორღიანი გზა, ასფალტის თანამედროვე ტრასად გადაიქცევა. ამ გზის მშენებლობა მომავალ თვეში დაიწყება და დაახლოებით 4 თვეს გაგრძელდება.

როგორც ცნობილია, პეკინის თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა ყველაზე გრძელი იქნება ოლიმპიადების ისტორიაში. 130 დღის განმავლობაში ის 137 ათას კილომეტრს გაივლის და ამ მარშრუტის ერთ-ერთი მთავარი მომენტი მსოფლიოს უმაღლესი მთის დაპყრობა იქნება.

## სხვადასხვა

კალათბურთი

### დანკანს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

"სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელობამ თავის ლიდერთან **ტიმ დანკანთან** კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაიწყო მუშაობა.

გუნდის შეფობა მზად არის, დანკანს ორწლიანი ხელშეკრულება შესთავაზოს, რომლის მიხედვითაც, NBA-ის ოთხგზის ჩემპიონი ჯამში 50 მილიონ დოლარს მიიღებს.

თუ დანკანი ამ პირობებს დათანხმდება, მაშინ მას "სან ანტონიოში" 2012 წლამდე მოუწევს დარჩენა.

### მემფისის ახალი მენეჯერი

მომავალი წლიდან, "მემფის გრიზლისს" ახალი ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი ეყოლება. ამ ორ პოსტს **კრის უოლასი** შეითავსებს, რომელიც წინა 10 სეზონი "ბოსტონ სელტიქსში" მოღვაწეობდა.

*"მემფისი" ის გუნდია, რომელიც უახლოეს მომავალში დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ. კლუბის ხელმძღვანელობამ ნიჭიერი ახალგაზრდები შეკრიბა, რომლებსაც დიდი ამბიციები გააჩნიათ"*, - ამბობს უოლასი.

შეგახსენებთ, რომ გაისად ამ გუნდს მწვრთნელიც ახალი ეყოლება. ეს გახლავთ **მარკ იავარონი**. ეს სპეციალისტი მანამდე "ფინიქსის" დამრიგებლის ასისტენტად მუშაობდა.

ფორმულა 1

### ტოდტი მაინც იმედიანადაა

ფორმულა 1-ის ჩემპიონატი ეკვატორს უახლოვდება - გასამართი დარჩა კიდევ 10 ეტაპი და კონსტრუქტორთა თასისთვის ბრძოლაში, "ფერარი" მთავარ კონკურენტ "მაკლარენს" უკვე 35 ქულით ჩამორჩება. მიუხედავად ამ ჩავარდნისა, იტალიური საჯინიბოს შეფი **ჟან ტოდტი** იმედოვნებს, რომ მისი პილოტები გუნდური ტიტულისთვის ბოლომდე იბრძოლებენ.

*"ამერიკის ეტაპმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კვალიფიკაციის შედეგს. ფინიშზე პილოტები თითქმის იმ თანმიმდევრობით მივიდნენ, რომლითაც სტარტზე იყვნენ განლაგებულნი. ჩემპიონატში სიტუაცია ძალიან გავირთულეთ, მაგრამ წინ კიდევ 10 ეტაპია და ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილი. მომავალ კვირას, "სილვერსტოუნზე" რამდენიმე სიახლეს გამოვიყენებთ, რათა "ფერარის ძველი კონკურენტუნარიანობა დავუბრუნოთ. სკუდერია ყველაფერს გააკეთებს კონსტრუქტორთა თასზე წარმატების მისაღწევად"*, - ამბობს ჟან ტოდტი.

### ჰემილტონი ინგლისიდან აბარგებას აპირებს

წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი, 22 წლის **ლუის ჰემილტონი** ინგლისის დატოვებასა და სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას აპირებს. "მაკლარენის" პილოტი შეწუხებულია მის პირად ცხოვრებაში ზედმეტი ჩარევითა და მისი პერსონისადმი გადამეტებული ყურადღებით.

*"მის პირად ცხოვრებაში ჩარევა ძალიან დიდ პრობლემად იქცა. ჩვენ ნებისმიერ ფასად გვინდა ლუისის დაცვა, მაგრამ თუ აქედან არაფერი გამოვიდა, ჰემილტონი ინგლისს დატოვებს"*, - უთხრა The Sun-ს "მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა**.

ჰოკეი

### ფლორიდა ბელფურის შემცვლელს ეძებს

"ფლორიდა პანტერზი" ახალი მეკარის ძიებაშია. კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა ვეტერან გოლკიპერს **ედ ბელფურს**, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვიტავს - გააგრძელებს თუ არა მოთამაშის კარიერას.

ფლორიდელები ბელფურის შემცვლელის ორ ვარიანტს განიხილავენ. ესენი არიან "სან ხოსეს" ფინელი მეკარე - **ვესა ტოსკალა** და "ანაჰაიმის" რუსი ლეგიონერი - **ილია ბრიზგალოვი**, რომელიც სტენლის თასის მფლობელის რიგებში **ჟან-სებასტიან ჟიგერის** დუბლიორი გახლავთ.

*"ჩვენ მეკარეების მოკლე სია გვაქვს. შევეცდებით, ვინმე დრაფტზე ავიყვანოთ, მაგრამ უკეთესი ვარიანტი რომელიმე კლუბთან დრაფტის განხორციელება იქნება"*, - ამბობს "პანტერზის" გენერალური მენეჯერი - **ჟაკ მარტენი**.

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. ინტერვიუ ლუის ჰემილტონთან

# ჩემპიონის ტიტულზე ფიქრი ნაადრევია

### ამ სეზონის შვიდ ურთულეს რბოლაში ჰემილტონს ჯერ არცერთი შეცდომა არ დაუშვია!

**ამ 22 წლის შავკანიანმა ბრიტანელმა, ერთი ხელის მოსმით შეცვალა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა შეუძლია ფორმულა 1-ში გამოუცდელ დებიუტანტს. ის შედეგი, რომლითაც ახლა ლუის ჰემილტონი იწონებს თავს, 60 წლის განმავლობაში არცერთ ახალბედას არ ჰქონია. თავის სადებიუტო რბოლაში, "მაკლარენის" პილოტმა მესამე ადგილი დაიკავა. მას შემდეგ უკვე სამი თვე გავიდა და ბრიტანელი პოდიუმიდან არ ჩამოდის: ზედიზედ ოთხი მეორე ადგილის შემდეგ, ჰემილტონმა ერთი კვირის განმავლობაში ორი გრან-პრი (კანადის და აშშ-ის) მოიგო და საერთო ჩათვლაში 10 ქულით უსწრებს თანაგუნდელ ფერნანდო ალონსოს. ამერიკის გრან-პრის უიქენდზე, ბრიტანელმა პილოტმა რბოლამდე და რბოლის შემდეგ ინტერვიუ მისცა ბრიტანულ პრესას.**



ჰემილტონი პოდიუმიდან არ ჩამოდის

#### რბოლამდე

**- რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მონრეალის ტრიუმფის შემდეგ?**

- სიმართლე გითხრათ, ამერიკაში აჟიოტაჟი ნაკლებად შეინიშნება: აქ ბევრი არ მიცნობს. თუმცა, ნიუ იორკში, ქუჩაში სეირნობისას ორი ადამიანი მომიახლოვდა - მათ ავტოგრაფი მთხოვეს და მითხრეს, რომ ჩემი ქომაგები არიან. თურმე, ეს ადამიანები ესპანელი ტურისტები ყოფილან. კანადის შემდეგ პირდაპირ ინგლისში რომ ჩავსულიყავი, ეს სხვა ამბავი იქნებოდა. ინგლისური გაზეთების პირველი გვერდები ჩემი ფოტოებით არის აჭრელებული, მეგობრებისგან ავტომოპასუხეზე 200-მდე მილოცვა მივიღე. ყველაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც ვცადე.

**- სამგზის მსოფლიო ჩემპიონი - ნიკი ლაუდა ამბობს, რომ პირველი გამარჯვება ყოველთვის რთულია, სამაგიეროდ, მერე მარტივდება საქმე. გჯერათ, რომ წინ წარმატებათა გრძელი სერია გელით?**

- მონრეალის ეტაპი დიდი ნაბიჯი იყო ჩემს კარიერაში. მოვლენათა ასეთ სწრაფ განვითარებას არ ველოდი, არც კანადაში გამარჯვებაზე მიოცნებია, რადგან იქაური ტრასა "ცოცხლად" არ მქონდა ნანახი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი პარტნიორი ალონსო თავს უფრო კომფორტულად იგრძნობდა.

**- ყველაფერი პირიქით გამოვიდა...**

- კანადაში გარკვეულწილად, გამიმართლა. რა თქმა უნდა, არც ის სამუშაო უნდა დავივიწყოთ, რომელიც ამ რბოლის წინ გავწიე. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ აქ, შტატებშიც ყველაფერი წესრიგში იქნება.

**- თამამი განცხადებაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინდიანაპოლისში "ფერარის" 2001 წლის შემდეგ არ წაუგია...**

- უბრალოდ ვიცი, რომ ჩვენი სპეციალისტები ძალიან სერიოზულად მუშაობენ, მუდმივად რაღაც ახალს იგონებენ წარმატების გასამტკიცებლად.

**- მიუხედავად ამისა, ყველანი "ფერარის" კონტრდარტყმის მოლოდინში არიან...**

- სავსებით შესაძლებელია. მონრეალის შემდეგ, წესით, იტალიელები უნდა დამსხდარიყვნენ და მომავალზე სერიოზულად ეფიქრათ. მაგრამ, ალბათ, ამ ერთ კვირაში რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთებას ვერ მოასწრებდნენ.

**- ალონსო თვლის, რომ "მაკლარენი" თქვენ უფრო გეხმარებათ, ვიდრე მას. ეს ასეა?**

- გასაკვირია, რომ ის ასე ლაპარაკობს. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდი რონ დენისის ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მე და ფერნანდოს ერთნაირი შესაძლებლობები გვქონდეს. შესაძლოა, მე უფრო მიადვილდება ადამიანებთან კონტაქტი, ვინაიდან "მაკლარენში" 13 წლიდან ვირიცხები.

**- გამოდის, რომ თქვენ და ალონსოს დაძაბული ურთიერთობა გაქვთ...**

- როცა ჩვენს გუნდში მსოფლიო ჩემპიონი მოვიდა, ყველანი ბედნიერები ვიყავით. არ მესმის, რატომ ისვრის დღეს ის ასეთ ფრაზებს. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო - როგორც ჩანს, ფერნანდო თავისი ერონვნებიდან გამომდინარე, კომფორტულად ვერ გრძნობს თავს ინგლისურ გუნდში.

**- თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, თქვენ შესაძლოა ფორმულას ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი გახდეთ...**

- ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო. მე ხომ ჯერ ახალბედა ვარ. კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი გამოცდილი პილოტებისგან.

**- ყველას უკვირს, რომ ასეთი ახალგაზრდა უშეცდომოდ ასპარეზობთ...**

- ვფიქრობ, წლევანდელ სეზონში ტრიუმფის გარდა, ჩავარდნებიცა და იმედგაცრუებაც მექნება. ჩემთვის ჯერ ნაადრევია ჩემპიონის ტიტულზე ფიქრი.

**- არ გეჩვენებათ, რომ თანაგუნდელის გაუფრთხილებელი განცხადებები იმით არის გამოწვეული, რომ ალონსო დაბნეულია: ის არ ელოდა თქვენგან ასეთ გმირობებს.**

- ალბათ, მართლაც არ ელოდა, რომ ასეთი ძლიერი კონკურენტი ვიქნებოდი. მეორე მხრივ, ჩემთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა, როცა მან კვალიფიკაციაზე ჩემი შედეგის გაუმჯობესება ვერ შეძლო.

#### რბოლის შემდეგ

**- ორი გამარჯვება ერთ კვირაში - ეიფორიაში ჩავარდნის მიზეზი გაქვთ...**

- დაუჯერებელია, რომ იმ ტრასებზე მოვიპოვე გამარჯვებები, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად ვიცნობდი. მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი სამუშაო გუნდმა გასწია, მე კი, უბრალოდ, კარგად მომზადებულ ტორტს გარკვეული შტრიხი შევმატე.

**- ალონსოსთან დაძაბული ბრძოლა გქონდათ. როდის მიხვდით, რომ რბოლა მოგებული იყო?**

- თავიდან, დაახლოებით ერთი სიჩქარე გვქონდა, მაგრამ შემდეგ, კომფორტული ჰანდიკაპის შექმნა შევძელი. თუმცა, პიტ-სტოპის მერე, საბურავებმა გარკვეული პრობლემები შემიქმნეს და ფერნანდომ სწრაფად გააბათილა ჩამორჩენა. ვირაჟებზე მის უკან ჩამოტოვებას ვახერხებდი, სამაგიეროდ, სწორ ადგილებში მაშინვე ვკარგავდი უპირატესობას. უნდა განვაცხადო, რომ ალონსო პროფესიულ დონეზე იბრძოდა. ბოლოს, შეეძლო გაესწრო კიდეც ჩემთვის.

**- ბოლო წრეებზე ემოციების შეკავება არ გაგიჭირდათ?**

- სინამდვილეში, უკანასკნელი კილომეტრები დაუსრულებელი მეჩვენა. როცა ფინიშამდე 15 წრე რჩებოდა, საკუთარ თავს მაქსიმალური მობილიზება ვუბრძანე. მთავარი იყო, მოვლენები არ დამეჩქარებინა.

**- თქვენ და ალონსო, დაახლოებით თანაბარი ძალის პილოტები ხართ. როგორ ფიქრობთ, შემდეგ რბოლაზეც ყველაფერი კვალიფიკაციის დროს გადაწყდება?**

- არ ვიცი. ჩვენ ტრასაზე დაძაბული ბრძოლა გვაქვს, სამაგიეროდ, ტრასის მიღმა სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებით ერთმანეთს. მე ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი ფერნანდოთი და მუდმივად თვალს ვადევნებდი მის წარმატებებს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ოსტატის მხარდამხარ ვასპარეზობ.

**- თქვენმა ორმა თანამემამულემ დეიმონ ჰილმა და ნაიჯელ მენსელმა, სადებიუტო გამარჯვების შემდეგ, მომდევნო ეტაპიც მოიგეს, შემდეგ კი, ჩემპიონებიც გახდნენ. შეგიძლიათ მათი წარმატების გამეორება?**

- ჩემი სახელოვანი წინამორბედების გამოცდილება მაკლია, თუმცა ვიცი, რითი უნდა მოვახდინო ამის კომპენსირება.

## კალათბურთი

დიდების დარბაზი

# რასელი, დალიპაგიჩი, გალისი და სხვები

გუშინ, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ იმ 20 მოთამაშის, მწვრთნელის, მსაჯისა თუ ფუნქციონერის გვარები დაასახელა, რომლებიც წლეულს, FIBA-ს დიდების დარბაზში შესვლაზე აცხადებენ პრეტენზიას.

კანდიდატთა შორის წარსულში ბევრი ცნობილი კალათბურთელი ფიგურირებს. ესენი არიან: **დრაჟენ დალიპაგიჩი** (სერბეთი), **სერგეი ბელოვი** (რუსეთი), **ივო დანეუ** (სლოვენია), **ოსკარ ფურლონგი** (არგენტინა), **ნიკოს გალისი** (საბერძნეთი), **პიერლუიჯი მარფორატი** (იტალია), **ამაური პასოსი** (ბრაზილია), **ემილიანო როდრიგესი** (ესპანეთი), **ბილ რასელი** (ამერიკა), **გორტენზია მარკარი** (ბრაზილია), **ენ მაიერსი** (ამერიკა) და **იულიანა სიმიონოვა** (ლატვია).

მწვრთნელებს შორის დიდების დარბაზში მოხვედრის შანსი აქვთ - **დინ სმიტს** (აშშ), **რანკო ჟერავიცს** (სერბეთი), **სუარეშ კანელას** (ბრაზილია, სიკვდილის შემდეგ) და **ლიდია ალექსეევას** (რუსეთი).

დიდების დარბაზში შეყვანის საზეიმო ცერემონია 12 სექტემბერს, ესპანეთში, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას გაიმართება. ორგანიზატორების ცნობით, ახალი წევრების არჩევა არა ყოველწლიურად, არამედ ორი წელიწადში ერთხელ მოხდება, გარდა ამისა, ყოველ ცერემონიაზე დიდების დარბაზში მოხვედრის პატივი არა უმეტეს 6 ადამიანს ექნება.

შეგახსენებთ, FIBA-ს დიდების დარბაზი 2007 წლის 1 მარტს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის გარეუბანში - ალკობენდასში გაიხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა